

სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა

- STATE AND MUNICIPAL MANAGEMENT

სახელმწიფო და საინვესტიციო პროცესის სამართლებრივი რეგულირებისათვის

STATE AND LEGAL REGULATION OF THE INVESTMENT PROCESS

ლამარა კოქაური

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესიონალი. საქართველოს ეკონომიკური
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

LAMARA QOQIAURI

Doctor of Economic Sciences, Professor,
Member of the Academy of Economic Sciences of
Georgia and Scientific Academy of New York

ანოტაცია

კომპლექსური სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ხელსაყრელი ინვესტიციური გარემოს შექმნისაკენ ქვეყანაში, მის რეგიონებსა და სამრეწველო წარმოების დარგებში, არსებითად ზრდის ეკონომიკაში ინვესტიციური რესურსების მოდინებას. ამისათვის სახელმწიფომ უნდა შეიძლოს ინვესტიციური პოლიტიკის ზუსტი და მკაფიო კონცეფცია, რომელშიც ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს ეკონომიკის ინვესტიციური შემადგენლების შეფასების მეთოდიკას.

შედარებით ფართო სახით ეკონომიკის ინვესტიციური შემადგენლელი ეს არის ნორმატიულ-სამართლებრივი, სოციალური და ეკოლოგიური პირობების ერთიანობა, რომელიც განსაზღვრავს კვლავწარმოებითი პროცესის ტიპსა და დინამიკას, რომელიც უზრუნველყოფს დაბანდებული კაპიტალის უკანაძღვების საიმედობას და ეფუძნებას.

იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციური აქტივობის ამაღლებასთან, განაპირობებს სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებას. კომპლექსური სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ხელსაყრელი ინვესტიციური გარემოს შექმნისაკენ ქვეყანაში, მის რეგიონებსა და სამრეწველო წარმოების დარგებში, არსებითად ზრდის ეკონომიკაში ინვესტიციური რესურსების მოდინებას. ამისათვის სახელმწიფომ უნდა შეიძლოს ინვესტიციური პოლიტიკის ზუსტი და მკაფიო კონცეფცია, რომელშიც ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს ეკონომიკის ინვესტიციური შემადგენლების შეფასების მეთოდიკასა და აგრეთვე მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხებს.

აუცილებელია პრინციპულური ასალი სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების მიება ინვესტიციების სფეროში, უნდა შეიქმნას ხელსაყრელი კლიმატი კაპიტალდაბანდებისათვის, რომელიც საერთო ეკონომიკური სიტუაციის კარდინალური ცვლილებების და დანაზღების ხტიმულირების ამოცანების აღეკვაზური იქნება. ინვესტიციური კრიზისიდან გამოსვლის რეალური ალტერნატივები არ არის ორიენტირებული დანაზღების რესურსებზე, რომლებსაც ბაზრის სუბიექტები აკეთებენ. დღეისათვის ძალზე საჭიროა სახელმწიფოს მეშვეობით საბაზრო პრინციპების დაცვით ინვესტირების სფეროში წარიმართოს, თუნდაც, ძალზე მცირე დანაზღები, შექმნილი კერძო მეწარმეობით სექტორში ეკონომიკის აღდგენის გადაუდებელი ამოცანების გადაჭრაზე.

აქედან გამომდინარე ჩვენ შრომაში წინა პლანზე დავაყენეთ საინვესტიციო პროცესის სახელმწიფო სამართლებრივი რეგულირების როლის ამაღლების აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციები, საინვესტიციო კანონები, ინვესტიციების რეგულირება, უცხოური ინვესტიციები, საინვესტიციო ბიზნესი, ფინანსური ინვესტიციები, საინვესტიციო პოლიტიკა, საინვესტიციო ბაზარი, ფინანსური აქტივები, პროფესიული ინვესტიციები, რესურსები.

Abstract

Complex state investment policy, directed towards creation of advantage investment surrounding in the country, its regions and fields of industrial production, essentially grows inflow of investment resources into the economy. For this the state must process firm conception of investment policy, in which the most central place is occupied by the methodology of estimation investment consisting parts of the economy.

Relatively wider investment consisting part of the economy is the totality of normative-legislative, social and ecological conditions, which defines type and dynamics of the process of further production, which provides trustfulness and effectiveness of the invested capital.

A role and importance of investment policy is large in the business of economical development of the country. Effective usage of investment potential existed in the national economy and its appropriate resources greatly depends on it, which finally conditions achievement of firm economical growth, recovering of investment potential, further production of basic industrial funds and this is achieved by processing investment policy of modern type.

State regulation of investment processes – this is totality of those forms and methods, which provide: unity of private and state interests; formation of rational proportions among usage, accumulation and investments; correlation between prediction of at investment market, indicated regulating and activities of state influence.

Therefore, the necessity to regulate the state legal regulation of the investment process is raised on the foreground in our work, searching of new state instruments of regulation is necessary in the investment domain; they must form advantage climate for capital investments, which will be adequate to the objects of stimulating savings and cardinal changing of total economical situation, real alternatives for coming out of investment crisis situation are not oriented towards resources of savings, which are made by the market subjects. Today it is necessary to direct even small savings to the investment domain by protecting marketing principles for solving the most important problems in the sector of private industry.

Keywords: investment, investment laws, investment regulation, foreign investment, investment business, financial investment, investment policy, investment market, financial assets, resources, portfolio investments, investment planning.

შესავალი

საინვესტიციო საქმიანობის სრულყოფა და საინვესტიციო პოტენციალის განვითარება ერთ-ერთი სერიოზული მეცნიერებლი პრობლემაა. ეს იმ განსაკუთრებული როლით აისხება, რასაც ინვესტიციები აღწარმოების პროცესში ასრულებენ. ვფიქრობთ, საქართველოში ინვესტიციური ურთიერთობების მოწერიგება, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა, საერთოდ საინვესტიციო საქმიანობის შეფასების სწორი სისტემის დანერგვა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ეფექტიანი დაბანდება, ინვესტიციის ბაზრის სწორი ფუნქციონირება, ინვესტიციური ბანკების შექმნა და სხვა აქტუალური საკითხების კვლევა ერთგვარი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საინვესტიციო საქმიანობაში არსებული პრობლემების დაძლევის გზაზე.

საერთოდ, ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიული ამოცანების შესრულებაში საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურება საჭირო, ეს კი სახელმწიფოს ქმედით მონაწილეობას მოითხოვს. სახელმწიფოს მონაწილეობის დონეს დიდად განსაზღვრავს საბაზრო მქანიზმების ფორმირების მდგომარეობა. სახელმწიფოს, ბანკებისა და არასაფინანსო ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობა აუცილებელი საერთო ეროვნული ინტერესების მისაღწევად, ამ თანამშრომლობის ეფექტიანობას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისათვის. სახელმწიფოს ჩარევის მიმართულებებისა და ხერხების შერჩევა მოითხოვს რეალური და ფინანსური კაპიტალის ურთიერთკავშირის ფორმების შემუშავებას, სამრეწველო-საინვესტიციო კომპანიების დაფინანსების საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლას.

გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანა იმაში მდგომარებს, რომ მოიზიდოს მოსახლეობაში გაფანტული კაპიტალი საწარმოო მიზნების სამსახურში. არსებითად ასეთი ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია ერთის მხრივ, აქციონერთა შორის ინტერესების წინააღმდეგობათა აღმოსაფეხოებად და მეორეს მხრივ კაპიტალების მწარმოებლების – კაპიტალის რეციფინების ინტერესების დასაცავად.

ასე რომ, როგორც პირდაპირი, ასევე პორტფელური ინვესტიციების ეკონომიკური შინაარსი, არსებითად ერთიანია. როგორც ერთი, ისე მეორე წამოადგენს კაპიტალის, როგორც თვითმხარდი ღირებულების მოძრაობას. და მაინც, ერთი განსხვავდება მეორისაგან ინდივიდუალური მიზნებითა და ინტერესებით, პროცეში მონაწილეობა ურთიერთობებით. შესაბამისად, სახელმწიფოს ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ როგორც პირველი, ასევე მეორე შემთხვევაში საზოგადოებამ მთლიანდ მიიღოს მაქსიმალური უკუგება ამ ურთიერთობის ყოველი მონაწილის მოქმედებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პირველი ასევე მეორე შემთხვევაში სახელმწიფოს მოქმედების მეთოდები განსხვავებული იქნება.

პირველ შემთხვევაში ინვესტორის წარმატება ბევრადაა დამოკიდებული თვითონ მასზე, საწარმოს განვითარების პროგნოზის დასაბუთებულების წარმატებაზე, მათ ძალისხმევაზე, მიღებული გადაწყვეტილებების სისწორეზე. არანაკლები მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონმდებლობის სისწორეს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ინვესტორის საწარმოს (ბიზნესის) ორგანიზაციასთან და მართვასთან, დაკავშირებული მინიმალური დანახარჯები, ასევე საწარმოს (ბიზნესის) განვითარების პროგნოზების წინასწარ განსკვრებისა და გონიერი დასაბუთების შესაძლებლობას. მეორეს მხრივ,

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ის, რომ კაპიტალის ინვესტირებამ არ გამოიწვიოს საზოგადოებრიც ინტერესთა ბალანსის დარღვევა.

მიუხედავად იმისა, რომ საინვესტიციო საქმიანობა, საინვესტიციო პროცესის ოქორიული ასევების კვლევა, პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების შესწავლის საკითხებზე გამოქვეყნებულია სერიოზული შრომები [1, 2, 3, 4, 7 და ა. შ]. ჩვენი მოსახრებით საქმარისი ყურადღება არა აქვს დათმობილი ინვესტიციების დაგეგმვისა და სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვან პრობლემებს, კერძოდ, შემდგომ შესწავლას მოითხოვს პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირება, თვით სახელმწიფო ამოცანების დაკონკრეტებას ინვესტიციების რეგულირების კუთხით; ურთიერთდაკავშირებული საინვესტიციო დაგეგმვა, რეალური და ფინანსური ინვესტიციების სახელმწიფო რეგულირების თავისებურებების ახსნა, საინვესტიციო პროცესის, მისი ძირითადი ეტაპების, მონაწილეობისა და მათი ფუნქციების განმსაზღვრელი ფაქტორების ჩამოყალიბება; საინვესტიციო დაგეგმვის არსისა და პერიოდების განსაზღვრა და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გადაჭრის აუცილებლიობამ განაპირობა შრომაში შემდეგი მიზნების გადაჭრის აუცილებლობა:

- პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების სახელმწიფო და სამართლებრივი რეგულირება;
- ინვესტიციების რეგულირებისას სახელმწიფოს ძირითადი ამოცანების გადაჭრის უზრუნველყოფა, რეალური დაფინანსური ინვესტიციების ურთიერთდაკავშირებული გადედმვის განხორციელების კრიტერიუმების შერჩევა;
- საინვესტიციო პროექტების განხორციელებისას საინვესტიციო რისკების ფაქტორების აუცილებლობის დასაბუთება, შესაბამისად საინვესტიციო რისკების ძირითადი სახეების მიმოხილვა საქართველოს საინვესტიციო კლიმატის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინვესტიციური პროცესის ძირითადი ეტაპების განსაზღვრისათვის.

ინვესტიციის პროცესი საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების ეტაპების, მოქმედებების და ოპერაციების თანმიმდევრობაა. ამ პროცესის კონკრეტული დინება ინვესტირების ობიექტზეა დამოკიდებული. ამის შესაბამისად, ინვესტიციის პროცესის ეტაპების გამოჯვენაც მნიშვნელოვანი და განპირობებული ინვესტირების სახეებით. საუბარია უპირველეს ყოვლისა, რეალურ და ფინანსურ ინვესტიციებზე.

გამოვყოფთ ინვესტიციის პროცესის ორ ძირითად ეტაპს:

1. გადაწყვეტილების მიღება ინვესტირების შესახებ და 2. ინვესტიციების განხორციელებასა და ექსპლუატაციას. მიღებულია პირველი ეტაპის

დაყოფა რამდენიმე დამოუკიდებელ ფაზად (ქვეეტაპად), რომლებიც ახასიათებს როგორც რეალურ, ისე ფინანსურ ინვესტიციებს. ამ ფაზების რაოდენობა სხვადასხვა შეიძლება იყოს, მაგრამ ყველაზე უფრო ტიპიურია სამი: ა) ინვესტირების მიზნების გამოკვეთა; ბ) ინვესტირების მიმართულების განსაზღვრა და გ) ინვესტირების კონკრეტული ობიექტების შერჩევა.

ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვადასხვა მიზნებს განსაზღვრავენ და სახავენ. ამოსავალია ფორმალური მიზნები, რომლებსაც შემდეგ ინვესტიციების შერჩევის კრიტერიუმად იყენებენ. ფორმალური მიზნები ინვესტორის სტრატეგიული მიზანდასახულობიდან გამომდინარეობს.

საინვესტიციო საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების შემუშავება უკავშირდება როგორც პერსპექტიული პერიოდის კონკრეტულ ეტაპზე ინვესტირების ამა თუ იმ ფორმის თანაფარდობის განსაზღვრას, ისე საინვესტიციო საქმიანობის მიმართულების პროფილის განსაზღვრასაც, მისი დარგობრივი შემაღვეველი ნაწილის ჩათვლით. ინვესტორის მიერ ამა თუ იმ ეტაპზე ინვესტირების ფორმების პრიორიტეტულ შერჩევას მოელი რიგი შიდა და გარე ფაქტორები განაპირობებს.

შიდა ფაქტორებიდან უმნიშვნელოვანესია ფუნქციური მიმართულება, ე. ინვესტორის (საწარმოს, ორგანიზაციის) საქმიანობის ძირითადი სახეები. მაგალითად, ინსტიტუციური ინვესტორებისთვის საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ფასიან ქაღალდებში ინვესტირება. ეკონომიკის რეალური სექტორის საწარმოები, რომლებიც საწარმოო საქმიანობას ეწვიან, პრიორიტეტს ანიჭებენ, როგორც წესი, მატერიალური და არამატერიალური აქტივების შეძენაში დაბანდებებს.

ფინანსური ინვესტირება ხორციელდება უპირატესად ან სხვა საწარმოების (როგორც კონკრეტების, ისე პარტნიორების) მართვაში მონაწილეობისთვის წილობრივი ფასიანი ქაღალდების შეძენის ფორმით, ან სპეციალური მიზნებით თავისუფალი ფულადი სახსრების დროებით განთავსების ფორმით.

სხვა შიდა ფაქტორებიდან ინვესტირების მიმართულებათა შერჩევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საოპერაციო საქმიანობის სტრატეგიული მიმართულება, საწარმოს (ორგანიზაციის) სიდიდე, ინვესტორის სასიცოცხლო ციკლის სტადია და სხვა.

ეკონომიკის რეალური სექტორის საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან ფინანსური ინვესტიციების ზრდა, როგორც წესი, ახასიათებს მსხვილ საწარმოებს, რომელთაც ინვესტიციების დაფინანსების წყაროების პოვნის მეტი შესაძლებლობები აქვთ, და იმ საწარმოებს, რომლებიც „სიმწიფის“ სტადიაზე იმყოფებიან. ადრეულ სტადიობზე ინვესტირების უფრო გავრცელებული ფორმაა მატერიალურ და არამატერიალურ

აქტივებში დაბანდებები.

იმ გარე ფაქტორებს შორის, რომლებიც ინვესტირების ფორმების შერჩევაზე ახდენენ არსებით გავლენას, ყველაზე მნიშვნელოვანია ინფლაციის ტემპები და ფინანსურ ბაზარზე ჩამოყალიბებული საპროცენტო განაკვეთი.

ფორმალურ მიზნებს შეიძლება მივაღუთვნოთ მოგების გადიდება, წარმოების (საქმიანობის) მასშტაბების გაფართოება, ძალაუფლებისა და საზოგადოებაში პრესტიჟის მოპოვება; ასევე, სოციალურ-ეკოლოგიური ამოცანების გადაჭრა, სამუშაო ადგილების შენარჩუნება ან გადიდება და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიზნები ხშირად მქაფიოდ არაა განსაზღვრული, კორდინირებული არაა პრიორიტეტულობის მიხედვით ან შემოწმებული არ არის მათი რეალიზაციის შესაძლებლობის საგანზე. ამიტომ, საჭიროა ფორმალური მიზნებიდან გამოვავთოთ ინვესტირების რეალური მიზნები კონკრეტული მიზნობრივი მაჩვენებლების დადგენით. მაგალითად, ფორმალური მიზანი – მოგების ზრდა – უნდა დაკონკრეტდეს მთელ რიგ ისეთ მაჩვენებლებად, რომელთათვისაც შესაძლებელი იქნება მათი მიღწევის ხარისხის განსაზღვრა. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს მოგების საშუალო სიდიდე რამდენიმე წლისთვის, ან წმინდა მოგების მაჩვენებელი, ან ის სხვა მაჩვენებლები, რომლებიც ინვესტირებიდან მიღებულ მოგებას ახასიათებენ.

ინვესტირების ფორმალური მიზნები ამარტივებს ინვესტირების მიმართულებათა განსაზღვრის ამოცანების გადაწყვეტას. მათ შორის შეიძლება იყოს როგორც ურთიერთდაკავშირებული ინვესტიციები, ისე დამოუკიდებელი და ალტერნატიული (ურთიერთგამომრიცხავი) ინვესტიციებიც.

საინვესტიციო პორტფელის ჩამოყალიბებასთან მიმართებაში, ინვესტიციის პროცესი მნიშვნელოვნად მარტივდება მისი ეტაპების შემცირების ხარჯზე. ამ პროცედურისადმი მიღვნილ საზღვარგარეთულ ლიტერატურაში მიღებულია ინვესტიციის პროცესის შემდეგი ეტაპების გამოყოფა:

1. საინვესტიციო პოლიტიკის შერჩევა;
2. ინვესტიციების ბაზრის ანალიზი;
3. ფასიანი ქაღალდების პორტფელის გადასინჯვა;
4. ინვესტირების ეფექტიანობის შეფასება [1. გვ., 3-4].

პირველ ეტაპზე განისაზღვრება ინვესტირების მიზნები და მისი რეალიზაციისთვის საჭირო სახსრების მოცულობა, აგრეთვე, რისკისა და შემოსავლიანობის ხარისხი ყონანსური ინსტრუმენტისათვის. ეს ეტაპი სრულდება პოტენციური სახის იმ ფინანსური აქტივების შერჩევით, რომლებიც პორტფელში შეიძლება იყოს შეტანილი.

მეორე ეტაპზე ზუსტდება ცალკეული სახის ფასიანი ქაღალდის საკურსო ღირებულება

მოცემული მომენტისთვის ჩამოყალიბებული საბაზრო კონიუნქტურის საფუძველზე და დგინდება კონკრეტული ფირმის აქციების კურსების დინამიკის პროგნოზი. ამ მიღვომას ტექნიკურ ანალიზს უწოდებენ. მიღებული მონაცემების საფუძველზე შემდგებ ტარდება ფუნდამენტური ანალიზი. მისი არსია ყველა იმ ნაღდი ფულადი ნაკადის დაყვანილი ღირებულების გაანალიზება, რომელთა მიღებასაც მომავალში აპირებს ფინანსური აქტივების მფლობელი.

ინვესტიციის პროცესის მესამე ეტაპი გულისხმობს ინვესტირებისთვის კონკრეტული აქტივების შერჩევას, აგრეთვე, აქტივების შორის ოპტიმალური პროპორციების განსაზღვრას საინვესტიციო კაპიტალის ფარგლებში. ამის საფუძველია სელექციურობა, ოპერაციების დროის შერჩევა და რისკის დივერსიფიკაცია მთელი პორტფელის მიხედვით.

მეოთხე ეტაპი მოიცავს მიმდინარე პორტფელის პერიოდულ შეფასებას ინვესტორის მიზნების ცვლილებასთან და ოპტიმალური პორტფელიდან მის გადახრასთან მიმართებით. ამის შემდეგ შესაძლებელია აღრე შეძენილი ფასიანი ქაღალდების ნაწილის გაყიდვა და ახლის ყიდვა.

საბოლოო ეტაპზე სწარმოებს ფაქტიური შემოსავლიანობის და რისკის დონის პერიოდულ შეფასება და მათი შედარება არსებულ სტანდარტებთან [2. გვ., 12].

ინვესტიციის პროცესის ძირითადი მონაწილეების წრეს ეკუთვნის: სახელმწიფო, ხელისუფლების რეგიონული და ადგილობრივი ორგანოები, საწარმოები და ფიზიკური პირები: მათ შეუძლიათ ინვესტიციის პროცესში მონაწილეობა მოთხოვნისა და მიწოდების მხრივ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინვესტიციის პროცესში მონაწილეობა წრე მნიშვნელოვნადაა გაფართოებული. განსაზღვრული ბაზების, საკრედიტო-კომერციული ორგანიზაციების, საინვესტიციო ფონდებისა თუ კომპანიების და სადაზღვევო კომპანიების ქაღალდების დამოუკიდებლად იღებენ ინვესტიციურ გადაწყვეტილებებს. და მათი, ინვესტიციის პროცესში მათ მონაწილეობას განსაზღვრავენ სახელმწიფო და ხელისუფლების რეგიონული და ადგილობრივი ორგანოები, რაც გამოიხატება საინვესტიციო კონკურსების ჩატარებით, საინვესტიციო პროექტების შერჩევითა და დამტკიცებით, პროდუქციის გამოშვების ლიცენზირებითა და კოტირებით, საპროცენტო განაკვეთისა და დაბეგვრის სიდიდის განსაზღვრით. სახელმწიფოს, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საფინანსო საქმიანობა როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების მხრივ არსებით გაფლენის ახდენს საფინანსო ინსტიტუტებისა და ფინანსური ბაზრის ქცევაზე.

ფინანსურ ბაზარზე ფულის ძირითადი მიწოდებელი მოსახლეობაა, რადგან იგი გაცილებით მეტს აძლევს ინვესტიციის პროცესს, ვიდრე იღებს. ცხადია, ამას ვერ ვიტყვით აღმას-

რულებელი ხელისუფლების ორგანოებსა და საწარმოებზე.

უცხოელი მეცნიერების უ.შარპის, გ.ალექსანდრისა და გ.ბეილის გამოკვლევები გვიჩვენებს,

რომ მთლიანობაში სახელმწიფო და საწარმოები ფულადი სახსრების წმინდა მომხმარებლები არიან, ე.ი. მეტ სახსრებს მოიხმარენ, ვიდრე გასცემებს [4. გვ., 10]. კერძოდ, მრავალ მსხვილ კომპანიას თავიანთი გრძელვადიანი მიზნების რეალიზაციისათვის უზარმაზარი თანხები სჭირდება ქარხნების ასაშენებლად, მოწყობილობების შესაძენად, ახალი პროდუქტების შესამუშავებლად და ა.შ. გარდა ამისა, ნადირ ფულის მასის მართვის აქტიური და რთული სტრატეგიის განხორციელებით ისინი ფასიანი ქაღალდების მთავარ მყიდველებად გვევლინებიან. ამგვარი ვითარება იქმნება სახელმწიფოს, ხელისუფლების რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების მხარეზეც, რომელთა საქმიანობა უკავშირდება კაპიტალურ დაბანდებებსა და მიმდინარე ხარჯების უზრუნველყოფას.

აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ფულადი სახსრების უქმარისობას ივხებენ სავალო ვალდებულებებისა და ობლიგაციების, კომპანიები კი – აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებით.

საინვესტიციო პროექტის მონაწილეობის შემადგენლობას და მათ მიერ შესასრულებელ ფუნქციებს შემდეგი ფაქტორები განსაზღვრავს:

- საინვესტიციო პროექტის სპეციფიკა, მისი მასშტაბები, ტექნოლოგიური სირთულე და ა.შ.;
- საინვესტიციო პროექტის მონაწილეობა მიერ ფუნქციების შეთავსება პროექტის რეალიზების დროს;
- დამკვეთის ფინანსური მდგომარეობა, რომელიც ამცირებს ან ადიდებს საფინანსო სტრუქტურების მოზიდვას საინვესტიციო პროექტის რეალიზებაში;
- დამკვეთის უზრუნველყოფა საეუთარი მატერიალური რესურსებით, სამშენებლო მასალებით, ტექნიკით, მოწყობილობათა და ა.შ.;

- საინვესტიციო პროექტის მართვის ტიპის შერჩევით (ტრადიციული თუ პროგრესული).
საინვესტიციო პროექტის ტრადიციული ტიპით მართვისას გამოყოფენ მის შემდეგ ძირითად მონაწილეებს: სპონსორებს, მენარღეს, მოწყობილობის მიმწოდებელს, დაზღვევის კონსულტანტებს, იურისკონსულტებს, გადასახადებისა და ფინანსების დარგის კონსულტანტებს, კრედიტორებს და სხვა.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ისინი. ფართო გაგებით, სპონსორი არის თავდები, გარანტი; ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აფინანსებს ეკონომიკურ პროექტსა თუ სოციალურ დონისძიებათა გატარებას. აგრეთვე, დამკვეთი, მსხვილი პროექტის ორგანიზატორი ან მოწყობი სპონსორი შეიძლება იყოს როგორც კომერციული, ისე არაკომერციული სტრუქტურა.

რაც შექება სპონსორს, როგორც ინვეს-

ტიციის პროცესის მონაწილეს, იგი შეიძლება ვუწოდოთ დამკვეთს, ორგანიზატორს, რომელიც ერთმანეთთან აკაგზირებს პროექტის ყველა მონაწილის საქმიანობას, ეწევა მოლაპარაკებებს, აანალიზებს მომწოდებლების, საფინანსო სტრუქტურების მენარდეთა კომერციულ წინადაღებს, ახორციელებს მარკეტინგულ კვლევებს და ფინანსური პარტნიორის შერჩევას. ცალკეულ შემთხვევაში იგი თავისთავზე იღებს სამშენებლო ინჟინერინგის ისეთი ფუნქციების შესრულებას, როგორიცაა: საინინირო-კონსალტინგური მომსახურება, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ანალიტიკურ-განვითარებითი სამუშაოები, პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის, პროდუქციის რეალიზაციის სფეროში რეკომენდაციების შემუშავება. ეს ამცირებს ინვესტიციის პროცესის მონაწილეობა რაოდენობას. მენარღის, ე.ი სამუშაოთა შემსრულებლის როლს ასრულებენ საპროექტო-სამშენებლო და სამშენებლო მონარდის შემსრულებლები ან ინდივიდუალური მენარღები. მენარღეს შეუძლია შეკვეთის შესრულებაში ჩართოს სხვა პირები, რომლებიც სუბმორიზარები ხდებიან, თვითონ მენარღე კი გენერალური მოიჯარე ხდება. იგი სამშენებლო იჯარის ხელშეკრულების მთავარ შემსრულებლად გვევლინება და მთლიანად ასუხისმგებელი დამკვეთის წინაშე სამუშაოთა იმ მთელი კომპლექსის შესრულებაზე, რომელიც ხელშეკრულებითა დადგენილი.

მოწყობილობის მიმწოდებელი არის ფილიალები, შვილობილი კომპანიები თუ ის სხვა ფირმები, რომლებსაც ხელი აქვთ მოწყობილი მოწყობილობის მიწოდებასა და მომსახურების გაწევაზე. თუკი საწარმო ხელშეკრულებას აფორმებს დამკვეთონ მრავალი ფირმისათვის მასალების, სამშენებლო ტექნიკის და მოწყობილობის კომპლექსურად მიწოდებაზე, მაშინ იგი გენერალური მიმწოდებელი ხდება და მთელ მიწოდებაზე აგებს პასუხს.

დაზღვევის კონსულტანტს იწვევენ დასაზღვევი რისკის გამოსავლენად და სადაზღვეო დაფარვის მეშვეობით პროექტის დაცულობის ხარისხის შესაფასებლად, აგრეთვე, შესაბამისი რეკომენდაციების შესამუშავებლად. იურისკონსულტი ახორციელებს პროექტის გარშემო იურიდიული დოკუმენტაციის მომზადებას, განიხილავს მთლიანად შეთანხმებებსა და კონტრაქტებს.

საგადასახადო საკითხთა დარგის კონსულტანტი აანალიზებს პროექტის სარეალიზაციოდ ქვეყანაში არსებულ საგადასახადო სიტუაციას და ყველა მონაწილის საგადასახადო ვალდებულებებს, ადგენს რეკომენდაციებს გადასახადების მინიმიზაციისათვის.

საფინანსო კონსულტანტი ალტერნატიული ვარიანტების შეჯერების მეშვეობით უზრუნველყოფს ოპტიმალურ საფინანსო, საკრედიტო და საანგარიშებულებულ პირობების შერჩევას პროექტის რეალიზაციისთვის. პროექტში უცხოე

ლი ინვესტორების მოწვევის შემთხვევაში მან იგი უნდა მოიყვანოს არსებულ საერთაშორისო სტანდართებთან შესაბამისობაში, რაც დიდად ამსუბუქებს პოტენციური ინვესტორებისა და კრედიტორების მდგრადი მიზანს.

კრედიტორები, როგორც ინვესტიციის პროცესის მონაწილეები, ფულს სესხად იძლევიან გარკვეული ვადითა და გარკვეული პირობებით. ამ საფუძველზე მათ უფლება აქვთ კრედიტის დაბრუნება ან სხვა რაიმე ვალდებულების შესრულება მოთხოვონ დებიტორს. კრედიტორი შეიძლება იყოს სახელმწიფო, ბანკი, საწარმო ან ფიზიკური პირი, საინვესტიციო ფონდები და სხვა.

ინვესტიციის პროექტის მართვის ტრადიციულ ფორმას, რომლის დროსაც დამკვეთი თვითონ ახორციელებს მართვის ფუნქციებს, გარკვეული ნაკლოვანებები აქვს. ჯერ ერთი, დამკვეთების უმრავლესობა არასაკმარისად კომპეტენტურია პროექტის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში. ეს აძლიერებს რისკის დონეს მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების დროს, რაც გარდაუვალ დანაკარგებს იწვევს. მეორე, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წარმატებით მართვა მოთხოვს ხელმძღვანელის სისტემატურ მონაწილეობას ინვესტიციის პროცესში, ამას კი დამკვეთი ყოველთვის ვერ ახერხებს. მესამე, პროექტის მართვის ამ ფორმას ახასიათებს ფაზებისა და ეტაპების შედარებითი დაქსაქსულობა როგორც დროში, ისე ორგანიზაციულად, რაც დამატებით სინქელებებს ქმნის მისი ყველა მონაწილის მოქმედებათა შეთანხმებულობის უზრუნველყოფაში.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა დაძლევა ხდება საინვესტიციო პროექტის მართვის პროგრესულ ფორმაზე გადასვლისას. მისი არსი ისაა, რომ საინვესტიციო საქმიანობის ორგანიზაციასა და მართვაში მთავარი ფიგურა ხდება პროექტის მმართველი (მენეჯერი). ეს შესაძლოა იყოს სამშენებლო ან სამშენებლო-საპროექტო ორგანიზაციის საგანგებოდ მომზადებული მაღალკალიფიციური სპეციალისტი ან გამოცდილი ხელმძღვანელი. იგი ახორციელებს პროექტის საერთო ხელმძღვანელობას, რაშიც შედის ფინანსების მართვა, პერსონალის მართვა და სამშენებლო წარმოების მართვა.

2. ინვესტიციების ობიექტების შერჩევა და დაგეგმვა.

ინვესტიციის პროცესის პირველი ეტაპის დამაგირგვინებელი ფაზაა ინვესტირების კონკრეტული ობიექტების შერჩევა, რაც ინვესტიციების დაგეგმვის პროცესში ხორციელდება. ინვესტიციების დაგეგმვის პროცესს, როგორც წესი, უწოდებენ პროექტების ისეთი პორტფელის (საინვესტიციო პროგრამის) ფორმირების პროცესს, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს ინვესტირების მიზნების მიღწევის ერთ-ერთ აღტერნატიულ და ყველაზე უფრო სასურველ გარიანტად [7. გვ., 57]. ინვესტიციების დაგეგ-

მვას უპირატესად ახდენენ მათემატიკური მოდელების გამოყენებით, რომლებსაც სრულად არ შეუძლიათ ასახონ საინვესტიციო საქმიანობის ყველა ფაქტორი. ამიტომ მოდელირების შედეგები არ უზრუნველყოფს ისეთი აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც დასახული მიზნების მიღწევის გარანტია იქნება. ინვესტირების იმ კონკრეტული ობიექტების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, რომლებიც საწარმოს საინვესტიციო პროგრამაში უნდა იქნეს შეტანილი, საწარმოს ხელმძღვანელობა ახდენს დაგეგმვის შედეგებზე დაფრთხობით და საინვესტიციო საქმიანობის სხვა არაფორმალიზებული ფაქტორების გათვალისწინებით.

ინვესტიციურ მოდელს უწოდებენ ისეთ მათემატიკურ მოდელს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ინვესტიციების ეფექტიანობისა და შედეგიანობის შეფასება, როგორც დასახული მიზნის მიმართ, ისე მისი მიღწევისათვის საჭირო სახსრების მიმართ [7. გვ., 60].

უნდა ვთვალისწინებდეთ, რომ რეალური ინვესტიციები დასახული მიზნის მიღწევასთან ერთად იწვევს რაოდენობრივ ცვლილებებს როგორც მატერიალურ-ტექნიკურ, ისე ფინანსურ სფეროებში. რაც შეეხება ფინანსურ ინვესტიციებს, ისინი უფრო განკერძოებულია და უპირატესად საწარმოს საქმიანობის ფინანსურ მხარეს ეხება.

ინვესტიციური საქმიანობა იზოლირებულიც (განკერძოებული) შეიძლება იყოს და ურთიერთდაკავშირებულიც. პირველ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში საინვესტიციო საქმიანობის მხოლოდ აღტერნატიულ ვარიანტებს განიხილავენ. ურთიერთდაკავშირებული ინვესტიციური დაგეგმვა, ამის გარდა, წარმოების დაფინანსებისა და ორგანიზაციის სფეროში გადაწყვეტილების მიღების აღტერნატივებსაც ითვალისწინებს. ამდენად, იზოლირებული დაგეგმვის საგანგებო ინვესტირების პროგრამის შემუშავებაა. მეორე შემთხვევაში დაგეგმვის საგანგებო ინვესტირების მთლიანად მეწარმეობის სფერო.

ნებისმიერი დაგეგმვა გულისხმობს იმ გარკვეულ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოხდება ინვესტიციის განხორციელება და რეალიზება (ექსპლუატაცია). ეს პერიოდი ყოველთვის შეზღუდულია. აღსანიშნავია, რომ ინვესტიციების დაგეგმვის ვადების საკითხი მუდამ საკამაოა. დისკუსიის მთავარი საკითხია დაგეგმვის მონაცემთა დასრულების შემდეგ მომხდარ მოვლენათა გავლენით გადაწყვეტილებათა კორექტირების შესაძლებლობა. აქ აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ, მართალია, ეს მოთხოვნა სამართლიანია, მაგრამ მომავალ საინვესტიციო გადაწყვეტილებათა ზემოქმედების განსაზღვრა მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, რაც ეს ინვესტიციები განხორციელდება.

საინვესტიციო დაგეგმვის პროცესში დაგეგმვის მთელ ვადას ყოფენ ინტერვალებად, რომლებსაც პერიოდებს უწოდებენ. ერთ პერი-

ოდში სარეალიზაციო გადაწყვეტილებებს შესაბამისი პერიოდის ან დასაწყისს მიაკუთვნებენ, ან დასასრულს. ადსანიშნავია, რომ ეს არ აისახება საინვესტიციო გადაწყვეტილებათა შინაარსობრივ მხარეზე და მხოლოდ პერიოდების ნუმერაციაზე მოქმედებს. დაგეგმვის ამოსავადი წერტილია პირველი საგეგმო პერიოდის დასაწყისი. ინვესტიციების განხორციელების შედეგად მიღებული შედეგები რაოდენობრივად იმ გადახდების მეშვეობით გამოიხატება, რომლებსაც ყოველ გასაცემ (მაგალითად, სხვა მეურნე სუბიექტების გასტურება ინვესტორის მიერ) და შემოსულობებად (მაგალითად, სხვა მეურნე სუბიექტების განვითარების გადახდილი საზღვრულო).

გადახდების ჯამური თანხა კონკრეტული პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ღირებულებისა და შემოსულობების ჯამს წარმოადგენს. თუკი მათი სალდო დადებოთია – ე.ი. შემოსულობები აღემატება დირექტულების თანხას და პირიქით.

იმ პერიოდების რაოდენობას, რომელთა განმავლობაშიც თანხების შემოსვლა-გასტურება ხორციელდება, ან ინვესტიციების ექსპლუატაციის ვადას უწოდებენ (რეალური ინვესტიციების შემთხვევაში), ან მოქმედების ვადას (ფინანსური ინვესტიციების შემთხვევაში). დროის ამ მონაკვეთს ან წინასწარ საზღვრავენ, ან ცვლად სიდიდედ განიხილავენ (საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მიღების დროს). გამოთავისუფლებულ დაბანდებულ სახსრებს საზოგადოდ დეზინვესტიციებს უწოდებენ.

საინვესტიციო დაგეგმვის სისტემაში დროის ამა თუ იმ პერიოდში კაპიტალის ინვესტირების მიზანი შეიძლება იყოს ქონების ზრდა, შემოსულობათა ნაკადის გადიდება, ინვესტიციების რენტაბელობის ამაღლება და ის სხვა მაჩვენებლები, რომლებიც მოგების ხანგრძლივად მიღების შესაძლებლობებს ახასიათებენ. დაგეგმვის ინვესტიციურ მოდელებში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა შესაძლოა იცვლებოდეს დროის იმ გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში, რომლისთვისაც გეგმა შუშავდება. გადაწყვეტილების მიღების დროს უპირატესობა ენიჭება იმ პროექტებს, რომლებიც უფრო მოკლე დროში უზრუნველყოფენ შემოსავლებს ინვესტიციების განხორციელებიდან. დროის ამა თუ იმ პერიოდში გადახდათა ნაკადის შეჯერებას დისკონტინუაციის მეთოდით ახორციელებენ.

ინვესტიციების იზოლირებული დაგეგმვა ხორციელდება მოცემული ბიუჯეტის დროს ცალკეული საინვესტიციო ობიექტების ან ცალკეული საინვესტიციო პროგრამების მიმართ. ინვესტიციების (საინვესტიციო პროექტების) ექსპლუატაციის ვადა შეგვიძლია ცვლად ან ფიქსირებულ პარამეტრად განვიხილოთ. კაპიტალის ბაზარი შეიძლება იყოს როგორც სრულყოფილი, ასევე არასრულყოფილი. სრულყოფილი და არასრულყოფილი ბაზების გამიჯვნას ახორციელებენ დეპოზიტებსა და კრედიტებზე.

საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობის გამოყენების მეშვეობით. იზოლირებული დაგეგმვის სისტემაში ფინანსურ რესურსებზე არსებული მთელი შეზღუდვები დაგეგმვის ნებისმიერ პერიოდს შეეგვიძლია მივაკუთვნოთ.

3. ინვესტიციების ურთიერთდაკავშირებული დაგეგმვა.

ურთიერთდაკავშირებული საინვესტიციო დაგეგმვა ხორციელდება საწარმოო-საფინანსო საქმიანობის დაგეგმვასთან ჰქიდორო კავშირში. ეს კავშირი ეყრდნობა ფულდადი ნაკადების კომპლექსურ ფორმირებას იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი საქმიანობის მსგავსად ნებისმიერი საინვესტიციო პროექტის რეალიზაციასაც საფინანსო უზრუნველყოფა სჭირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ საინვესტიციო პროგრამის რეალიზების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს მისი საფინანსო პარამეტრების დაბალანსებას საწარმოო და საფინანსო პროგრამების პარამეტრებთან, აგრეთვე, შესაძლო შეზღუდვების გათვალისწინებას. საუბარია, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი საინვესტიციო რესურსების პოტენციალზე, სასესხო კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობაზე, საინვესტიციო საქმიანობის დარგობრივი და რეგიონული ღივერსიფიკაციის აუცილებლობაზე, აგრეთვე, საინვესტიციო პროგრამის შიდა დაბალანსებულობის, ე.ი. შემოსავლიანობის, რისკისა და ლიკვიდობის უფლების უზრუნველყოფაზე.

ურთიერთდაკავშირებული დაგეგმვის სისტემა გულისხმობს საინვესტიციო პროექტების შერჩევისას მრავალი კრიტერიუმის არსებობას. იგი ეყრდნობა ბიზნესის წარმართვის მიზნების სისტემაში საინვესტიციო საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების რანჟირებას როგორც დროის, ისე მნიშვნელობის მიხედვით.

საინვესტიციო პროექტების შერჩევის კრიტერიუმების ღივერნაციას ახდენენ, როგორც წესი, დამოუკიდებელი, ურთიერთგამომრიცხავი (ალტერნატიული) და ურთიერთდაკავშირებული საინვესტიციო პროექტების კონკრეტული ფორმების ჭრილში. მიზნების რანჟირება შერჩევის კრიტერიუმების რანჟირებასაც მოითხოვს. მთავარ კრიტერიუმებად, ჩვეულებრივ, იყენებენ წმინდა დაყვანილი დირექტულებისა და შიდა საპროცენტო განაკვეთის (შიდა რენტაბელობის) ზემოთგანხილულ კრიტერიუმებს.

ურთიერთდაკავშირებული საინვესტიციო დაგეგმვის დროს შეზღუდვების სისტემა მოიცავს ძირითად და დამატებით შეზღუდვებს. ძირითადი შეზღუდვებია შერჩევის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კრიტერიუმები. მაგალითად, თუ საინვესტიციო პროექტების შერჩევის მთავარ კრიტერიუმად დადგენილია პროექტის წმინდა დაყვანილი დირექტულების მაჩვენებელი, მაშინ ძირითადი შეზღუდვები შეიძლება იყოს ისეთი მაჩვენებლების კონკრეტული მნიშვნელობები, როგორიცაა შიდა საპროცენტო განაკვეთი,

პროექტის მთლიანი რისკის დონე, საინვესტიციო პროექტის გამოსყიდვის ვადა და ა. შ. დამატებითი შეზღუდვები შეიძლება იყოს: რისკის დოვერსიფიკაციის დონე რეგიონული და დარგობრივი შემადგენლობის ხარჯზე; ნასესხები კაპიტალის დირექულება; საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის ვადები; ინვესტიციური რესურსების მთლიანი მოცულობის სიდიდე; პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობები და ა. შ.

მეორე და მესამე ფაზების შინაარსი არსებითად განსხვავებულია რეალური და ფინანსური ინვესტიციებისთვის, რაც მათი განხორციელების თავისებურებითაა განაპირობებული.

თანამედროვე პირობებში რეალური ინვესტიცები საწარმოთ უმრავლესობის საინვესტიციო საქმიანობის საფუძველია. რეალური ინვესტიციების განხორციელებას მთელი რიგი თავისებურებები ახასიათებს. მათ შორის შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი:

ჯერ ერთი, რეალური ინვესტიციები უშუალოდ უკავშირდება საწარმოს ძირითად საქმიანობას, წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის მეშვეობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, საწარმო საქმიანობა და რეალური საინვესტიციო პროცესები კავშირშია ერთმანეთთან და განაპირობებენ ერთმანეთს.

მეორე, რეალურ ინვესტიციებს, ფინანსურ ინვესტიციებთან შედარებით, უფრო დიდი ეკონომიკური რისკი ახლავს თან, რაც, თავის მხრიც, გულისხმობს ფინანსურ ინვესტიციებთან შედარებით უფრო მაღალი რენტაბელობის უზრუნველყოფის უნარს. ეკონომიკური რისკები უკავშირდება ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებებს, მორალური ცვეთის ფაქტორებს და ა. შ.

მესამე, რეალური ინვესტიციები ნაკლებად ლიკვიდურია ფინანსურთან შედარებით. ამის მიზეზია რეალურ წარმოებაში ინვესტიციების უმრავლესობის ვიწრო მიზანმიმართულობა და ხშირად აღტერნატიული სამეურნეო გამოყენების შესაძლებლობათა უქონლობა. ამიტომ მეტისმეტად რთულია რეალური ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღების დროს მომხდარი შეცდომების კომპენსირება.

რეალურ ინვესტიციებს სხვადასხვა ფორმით ახორციელებს ინვესტიციები ძირითად კაპიტალში, კაპიტალური დაბანდებები საბრუნავ აქტივებში და ინვესტირება არამატერიალურ აქტივებში. თავის მხრივ, კაპიტალურ დაბანდებათა რეალიზებაც რამდენიმე ფორმით ხდება და, პირველ რიგში, ესაა ახალი საწარმოების მშენებლობა, არსებულის რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია, ტექნიკური გადაიარაღება, აგრეთვე, მთლიანი ქონებრივი კომპლექსების შეძენა.

მთლიანი ქონებრივი კომპლექსების შეძენა ისეთი პოლიტიკის შეზრუნებული და მართვა / INNOVATIVE ECONOMICS AND MANAGEMENT № 4, 2017

პანიების პრეროგატივაა, რომელიც ცალკეულ ბაზებზე მათი გავლენის გადიდებისკენაა მიმართული. ამ ფორმის რეალური ინვესტიციები უზრუნველყოფებ ინვესტორი საწარმოს აქტივების მთლიანი დირექულების ზრდას, რასაც განაპირობებს ფინანსური პოტენციალისა და მასალების სისტემის ერთობლივად გამოყენების შესაძლებლობათა ზრდა, საწარმოო ხარჯების დონის შემცირება და ა. შ.

ახალი შექნებლობა, ჩვეულებრივ, უკავშირდება ინვესტიციებს ისეთ თანამედროვე წარმოებებში, რომლებიც ზრდის შრომის მწარმებლობას და აკმაყოფილებს ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნებს, აგრეთვე, გულისხმობს ახალი ობიექტების შექნებლობას.

რეკონსტრუქცია უმრავლეს შემთხვევაში მოითხოვს წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებზე გადასვლას სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გათვალისწინებით. იგი, როგორც წესი, უკავშირდება რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვას, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლას და ა. შ. რეკონსტრუქცია შესაძლებელია მოიცავდეს ახალი ობიექტების აშენებასაც.

მოდერნიზაცია უფრო ხშირად უკავშირდება ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის შესაბამისობაში მოყვანას ტექნოლოგიური პროცესების განხორციელების თანამედროვე მოთხოვნებთან.

ტექნიკური გადაიარაღება მოიცავს ახალი მოწყობილობის, მექანიზმებისა და ტექნიკური სისტემის მთელი კომპლექსების შეცვლასა და შეძენას ტექნოლოგიური პროცესების უფერიანად განხორციელების მიზნით. ტექნიკურ გადაიარაღებასა და მოდერნიზაციას შორის მკეთრი ზღვრის გავლება ყოველთვის არა შესაძლებელი.

საბრუნავ აქტივებში ინვესტირება, როგორც წესი, ემსახურება საწარმოს მიერ გამოყენებული საბრუნავი ფონდების მოცულობის გაფართოებას. უმრავლეს შემთხვევაში ამას ახორციელებენ კაპიტალურ დაბანდებათა რეალიზაციის კავლდაკვალ და ეს, არსებითად, კაპიტალურ დაბანდებათა განხორციელების შედეგია.

არამატერიალურ აქტივებში ინვესტირება ძირითადად გულისხმობს ინვესტირებას და ორი ძირითადი ფორმით ხორციელდება:

- მზა სამეცნიერო – ტექნიკური პროდუქციის, მეცნიერულ აღმოჩენებზე, გამოგონებებზე, სასაქონლო ნიშნებზე და ა. შ. გაცემული პატენტების შეძენის ფორმით;
- სამეცნიერო – ტექნიკური პროდუქციის დამოუკიდებლად დამუშავების მეშვებით.

რეალური ინვესტიციების ფორმებისა და სახესხვაობების უმრავლესობას, - საბრუნავ აქტივებში, ცალკეული სახის მოწყობილობის, მექანიზმებისა და ა. შ. განახლებაში დაბანდებული დაბანდებათა განხორციელების შეძენა.

ბის გამოკლებით, – ახორციელებენ შესაბამისი ბიზნეს-გეგმების მქონე რეალური ინვესტიციის პროექტების სახით. ინვესტიციის პროექტების ბიზნეს-გეგმებში ტრადიციულ განყოფილებებთან ერთად დამუშავებული და გადმოცემული უნდა იყოს ინვესტიციური რისკების დონის მინიმუმისაციის და რეალური ინვესტირების ობიექტების ლიკვიდობის საჭირო დონის უზრუნველყოფის საკითხები.

ყველა საჭირო საგეგმო დოკუმენტის მომზადების ორგანიზებისა და მათი რეალიზებისთვის ყველა ინვესტიციის პროექტს, როგორც წესი, უნიშნავენ ხელმძღვანელს. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საგეგმო დოკუმენტებია პროექტების კალენდარული გეგმები და კაპიტალური ბიუჯეტები.

კალენდარულ გეგმებს ადგენენ დროის გარკვეული პროიდებისთვის – წლის, კვარტლის, თვის ან დეკადისთვის. მათში მოცემულია მონაცემები ინვესტიციის პროექტით გათვალისწინებული ცალკეული სახის სამუშაოთა შესრულების ვადებისა და მოცულობების შესახებ. კალენდარული გეგმების დეტალიზების ხარისხს შესასრულებელ სამუშაოთა ვადები და ხასიათი განსაზღვრავს.

კალენდარული გეგმის შესრულება უშუალოდ უკავშირდება ინვესტიციის პროექტის სამუშაოთა დაფინანსებას. ამ მიზნით ამუშავებენ საფინანსო გეგმას, რომელსაც, ჩვეულებრივ, უწოდებენ „ინვესტიციის პროექტის კაპიტალურ ბიუჯეტს“. მასში დასაბუთებულია და დადგენილია პროექტით გათვალისწინებული ყოველგარი სამუშაოს დაფინანსების მოცულობები, ვადები და წყაროები კალენდარული გეგმის ცალკეული ეტაპების ჭრილში.

კაპიტალური ბიუჯეტი ორ განყოფილებას მოიცავს: პროექტის კაპიტალურ დანახარჯებს და მისი რეალიზებისთვის საჭირო სახსრების შემოსვლას. კაპიტალური დანახარჯები არის საინვესტიციო დანახარჯების თავდაპირველი მოცულობის დაზუსტებული შეფასება ფინანსური სახსრების იმ რეზერვის გათვალისწინებით, რომელიც კალენდარული გეგმის შესაბამისად გაუთვალისწინებული ხარჯების დასაფარადაა საჭირო.

კაპიტალური ბიუჯეტის „სახსრების შემოსვლის“ განყოფილება პროექტის რეალიზაციისთვის საჭირო საინვესტიციო რესურსების მოცულობის დაზუსტებაა ინვესტიორის საკუთარი სახსრების წყაროების, მოზიდული აქციონერული და საპათო კაპიტალის, ლიზინგის, საბანკო კრედიტისა და ა.შ. ჭრილში.

კაპიტალურ ბიუჯეტში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახსრების შემოსავლის სინქრონულობა საინვესტიციო დანახარჯების მოცულობასთან, კალენდარული გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულდებლად.

4. საინვესტიციო რისკები და მათი სახეები.

პროექტების კალენდარული გეგმები

სა და კაპიტალური ბიუჯეტების დასაბუთების სისტემის უმნიშვნელოვანების ელემენტით საინვესტიციო რისკების ფაქტორების გათვალისწინება და მათი განეიტრალების დონისძიებების შემუშავება. ინვესტიციების რისკს, როგორც წესი, უარყოფითი საფინანსო შედეგების მიღების ალბათობის პრიზმაში განიხილავენ. მისი გამოვლინების ფორმები შესაძლოა იყოს დაგეგმილი ინვესტიციური შემოსავლის დაკარგვა ან დანაკლისი საინვესტიციო პროექტების განხორციელების გაურკვევლობის გამო. საინვესტიციო საპროექტო რისკები კომპლექსური ცნებაა და იმ მრავალფეროვან რისკებს აერთიანებს, რომლებიც ინვესტიციის პროექტების განხორციელებასთანაა დაკავშირებული.

ინვესტიციების განხორციელების ყოველ სტადიას სპეციფიკური სახის რისკები ახასიათებს. ამიტომ პროექტის მთლიანი რისკის შეფასებას, როგორც წესი, აგრეგირებული მონაცემების საფუძველზე ახდენენ ცალკეული ეტაპების მიხედვით.

ნებისმიერი ინვესტიციის პროექტის რეალიზება თავისი არსით უნიკალური მოვლენაა ერთტიპიანი პროექტებისთვისაც კი. ეს გარემოება აუცილებელს ხდის ინდივიდუალურ მიღღომას, იმ სპეციფიკური ინფორმაციის გათვალისწინებას, რომლებიც საინვესტიციო პროექტების განხორციელების დროს რისკების გაჩენის ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს უკავშირდება. რაც უფრო ხანგრძლივია პროექტის განხორციელების ვადა, მით მეტია მისი რეალიზების საბოლოო შედეგების გაურკვევლობა და ამის გამო – რისკის დონეც.

გასათვალისწინებელია, რომ ინვესტიციური პროექტიდან მისაღებ ფულად შემოსულობათ დაგეგმილი სიდიდე დამოკიდებულია სასაქონლო ბაზრის შესაბამისი სეგმენტის მომავალ მდგომარეობაზე და საწარმოს კომერციული საქმიანობის ეფექტიანობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ინვესტიციურ რისკებს დიდად განაპირობებს საწარმოს კომერციული რისკები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროექტის სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობასა და საინვესტიციო საპროექტო რისკის დონეს შორის პირდაპირი კავშირია. პროექტის განხორციელების ყველა ეტაპის შესახებ შეგროვილი ინფორმაციის სისრულე და სარწმუნობა, ინვესტიციური მენეჯერების კვალიფიკაციის დონე დიდად განსაზღვრავს ცალკეული სახის რისკების ნაირგვარი ფაქტორების გათვალისწინების დასაბუთებას.

ჩამოვალოთ საინვესტიციო საპროექტო რისკების ძირითადი სახეები საქართველოს პირობების სპეციფიკის გათვალისწინებით [5. გვ., 649-651].

გადახდისუუნარობის რისკი მნიშვნელოვნად უკავშირდება ბიზნესში პარტნიორების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას, აგრეთვე, საბრუნავი სახსრების ლიკვიდობის დონის დაწევას.

პროექტის ფინანსური უზრუნველყოფის რისკი უკავშირდება ცალკეული წეაროებიდან ინვესტიციური რესურსების დაგვიანებით შემოსვლას, არასრული დაფინანსების საშიშროებას იმ კაპიტალის დირებულების მომატების გამო, რომელიც პროექტის განხორციელებისთვისაა საჭირო. იგი საგრძნობ კორელაციაშია გადახდის უუნარობისა და ინფლაციის რისკებთან.

საწარმოს ფინანსური არამდგრადობის რისკი. მას ახასიათებს ინვესტიციებული საკუთარი და ნახესხები კაპიტალის ნაკადისა და ინვესტიციის პროექტით განპირობებული შემოსულობებისა და გადახდების ნაკადების დაუბალანსებლობა. ეს რისკი გადახდის უუნარობის რისკთან ერთად საწარმოს გაკოტრების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზია.

ინფლაციის რისკი უკავშირდება საინვესტიციო პროექტიდან მოსალოდნელი შემოსავლების გაუფასურებისა და ნომინალური დირებულებით გამოხატული კაპიტალური დანახარჯების გამვირების შესაძლებლობას. თანამდეროვე პირობებში ინფლაციის რისკი მუდმივი ხასიათისაა და პროექტის რეალიზების ოპერაციების უმრავლესობას ეხება. ამ მუდმივობას ერთგვარად ანეიტრალებს მისი გათვალისწინებისა და შერბილების პრობლემის გადაწყვეტა.

ინფლაციის რისკს უკავშირდება საპროცენტო რისკი. საქართველოში მას თავისი საეციფიკა აქცეს, რაც ფინანსური ბაზრის ფორმირების თავისებურებებითა და მისი განუვითარებლობითაა განპირობებული.

მარკეტინგული რისკი არის პროექტის რეალიზაციის სტადიაზე ინვესტიციებიდან შემოსავლების არასრული მიღების რისკი რეალიზაციის მოცულობებსა და ექსპლუატაციის ხარჯზე მოქმედი გარემოებების მიზეზით. რაც უფრო ხანგრძლივია პროექტის რეალიზაციის ვადები, მით უფრო მეტია ამ სახის რისკის მომატების ალბათობა.

კრიმინოგენული რისკი განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, ინვესტორის კერძო საკუთრების უფლებათა ჯეროვნად დაცვის უქონლობით, რაც ყველაზე უფრო ხშირად ვლინდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში.

საინვესტიციო საპროექტო რისკების შესაძლო უარყოფითი შედეგების ნეიტრალიზებისათვის შეიმუშავებენ და იყენებენ ნაირგვარზომებსა და ღონისძიებებს, რომლებსაც აჯგუფებენ შიდა და გარე ღონისძიებებად. რისკების ნეიტრალიზების შიდა ზომები მოიცავს ნაირგვარი სადაზღვევო და საფინანსო ფონდების (რეზერვების) შექმნას და ისეთი ღონისძიებების შემუშავებას, რომლებიც აღკვეთს ამა თუ იმ რისკის შესაძლო წარმოქმნას. ეს შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი მოცულობის ნახესხებ კაპიტალზე და დაბალლიკვიდური აქტივების გამოყენებაზე უარის თქმა, აგრეთვე, ცალკეული ოპერაციების თანმხლები რისკების პარტნიორებისათვის გადაცემის მექანიზმი.

სადაზღვევო და საფინანსო ფონდების შექმნა გულისხმობს ინვესტიციური რესურსების ერთი ნაწილის რეზერვირებას იმ გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგების დაძლევისთვის, რომლებიც საწარმოს პერსონალის ან კონტრაქტების მოქმედებას არ უკავშირდება. ცხადია, საწარმოს საკუთარი სახსრების ნაწილის მოცდენა, ან უფრო ზუსტად, „გაყინვა“ აუცილებელს ხდის ფინანსების ბაზარზე სესხის აღებას მის შესავალებად, რაც აძლიერებს საინვესტიციო პროექტების დაფინანსების გარე წყაროებზე დამოკიდებულებას.

საპროექტო რისკების ნეიტრალიზების გარე მეთოდებია, უპირველეს ყოვლისა, ცალკეული სახის საპროექტო რისკების დაზღვევა და მესამე პირების მიერ გარანტირება. დაზღვევის ობიექტებად გველინება საწარმოს ის ქონება, რომელიც საინვესტიციო პროცესშია გამოყენებული; საწარმოსა და მისი პერსონალის პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე; საინვესტიციო პროექტის განხორციელების მონაწილე პერსონალის დაზღვევა. გარანტიების მექანიზმი ორიენტირებულია, უპირველეს ყოვლისა, ინვესტორების ინტერესების დაცვაზე ინვესტორების პირობების შეცვლის შემთხვევაში.

5. ფინანსური ინვესტიციების განხორციელების თავისებურებები.

იმ საწარმოობისთვის, რომლებიც ინსტიტუციონალური ინვესტორები არ არიან, საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი მიმართულება რეალური ინვესტიციების განხორციელება. ამასთან, როდესაც ფინანსების ბაზრის კონიუნქტურა იძლევა დაბანდებულ კაპიტალზე იმაზე მნიშვნელოვნად უფრო მაღალი დონის მოგების მიღების შესაძლებლობას, ვიდრე საქონლის ბაზრებზე საოპერაციო საქმიანობა (ამის ნიმუში იყო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე რუსეთში 1995-1996 წლებში შექმნილი ვითარება), ან როცა არსებობს დროებით თავისუფალი ფინანსური რესურსები, მაშინ საწარმოები აქტიურად აბანდებენ სახსრებს მაღალლიკვიდური ფინანსურისტურებულებებში. გარდა ამისა, საწარმოები თავიანთი საქმიანობის დივერსიფიკაციისა და სხვა კომპანიებისა და ორგანიზაციების მართვაში მონაწილეობისთვის საკუთარ კაპიტალს აბანდებენ ამ სხვა საწარმოების საწარმოებო ფონდებში.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ფინანსური ინვესტიციები ისეთი ინსტრუმენტებია, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ქვეყანაში და მის გარეთ საწარმოების კაპიტალის უფერებიანად განთავსების სტრატეგიული და ოპერატორული ამოცანების გადაჭრა. საფინანსო ინვესტიციებს უპირატესად ახორციელებენ საწარმოში თავისუფალი ფულადი სახსრების ქონის დროს. ისინი გარე ინვესტირების ფორმით გველინებიან (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საწარმოები გამოიყოფიან საკუთარ ფასიან ქაღალდებს, მაგალითად, აქციებს), [4. გვ., 115].

საწარმოების უდიდესი უმრავლესობა

ფინანსურ ინვესტიციებს ახორციელებს თავისუფალი ფულადი სახსრების გამოყენებიდან დამატებითი ინვესტიციური შემოსავლების (სპეციულაციური შემოსავლის) მიღების მიზნით. ფინანსური ინვესტირების კონკრეტული არჩევანი საქმაოდ ფართოა ჩამოუყალიბებელი ბაზრის პირობებშიც კი.

ამა თუ იმ ინსტრუმენტში დაბანდებათა შესრულებიდან მიღებული შემოსავლიანობის დონე პირდაპირ კავშირშია რისკის დონესთან. რაც უფრო მაღალია შემოსავლიანობა, მით უფრო მაღალია ფინანსური წარუმატებლობის რისკი.

რისკის დივერსიფიკაციისა და ფინანსურ დაბანდებებზე შემოსავლიანობის სასურველი დონის მიღების მიზნით საწარმოები (ინვესტორები) იძენენ შემოსავლიანობისა და რისკის განსხვავებული დონეების ფინანსურ ინსტრუმენტებს, ანუ, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ადგენენ სპეციულაციური ხასიათის ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელს.

ფინანსური ბაზრის კონიუნქტურის ცვალებადობის გამო შემოსავლიანობის სასურველი დონის მიღების პროცესი მოითხოვს ნაირგვარი ინსტრუმენტების შემოსავლიანობის, რისკისა და ლიკვიდობის მუდმივ მონიტორინგს და შესაბამისი მმართველური გადაწყვეტილებების მიღებას ფინანსების პორტფელის ცვლილებასთან დაკავშირებით, ე.ი. პორტფელის მოლიან მოცულობაში ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის ხვედრითი წილის შემცირებას ან გადიდებას. ამგვარ კორექტირებას “პორტფელის რესტრუქტურიზაციას” უწოდებენ. იგი საწარმოებში ფინანსური ინსტრუმენტების ოპერატიული მართვის პროცესის მთავარი შინაარსია.

ფინანსების სპეციულაციური პორტფელის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია წილობრივი და სავალო ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე, დეპოზიტური ანაბრები და სავალუტი ფასეულობები. მონიტორინგის პროცესში, ფინანსური ინსტრუმენტების სახეზე დამოკიდებულებით, ითვალისწინებენ და აანალიზებენ მათი შემოსავლიანობის, ლიკვიდობისა და რისკის დონეებზე მოქმედ მრავალგვარ ფაქტორს. იმ ფაქტორებიდან, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ წილობრივი საფინანსო ინსტრუმენტების შემოსავლიანობაზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი:

- ემიტენტი საწარმოების ინვესტიციური შემოსავლის დაბეგვრის დონის მომატება;
- ემიტენტი კომპანიების გაყიდვათა მოცულობის კონიუნქტურული ცვლილებები (ეს განსაკუთრებით ეხება ნავთობის კომპანიებს);
- დივიდენდების ზომის შემცირება მოგების მოცულობის შემცირების გამო;
- ემიტენტი საწარმოების წმინდა აქტივების დირექტორების მონაცემების დამატება;

ბის დირექტორების შემცირება (ან ზრდის ტემპების შენელება);

- საფონდო ბაზრის მონაწილეობა სპეციალური თამაშები.

იმ ფაქტორებს, რომლებიც სავალო ფასით ანი ქაღალდების ლიკვიდობის დონეს ამცირებენ, ეკუთვნის ფინანსურ ბაზარზე პროცენტის საშუალო განაკვეთის ზრდა; ინფლაციის დონის ზრდა; ემიტენტი საწარმოს ინვესტიციური შემოსავლის დაბეგვრის დონის მომატება; საწარმოს ფინანსური მდგრადობის დონის დაჭვებითება; ემიტენტი საწარმოს გადახდის უნარიანობის დაჭვებითება.

უფლადი ინსტრუმენტების შემოსავლიანობაზე, რისკსა და ლიკვიდობაზე არსებით გავლენას ახდენენ: ცენტრალური ბანკის სააღრიცხვო განაკვეთის დონე; ეროვნული ვალუტის სიმყარე; სადეპოზიტო ტიპის ინსტიტუტების ფინანსური სტაბილურობა; ფინანსურ ბაზარზე პროცენტის საშუალო განაკვეთის ცვლილება [3. გვ., 54].

ინვესტიციის ბაზრის მონიტორინგის შედეგების მიხედვით ავლენენ როგორც სპეციულაციური ინვესტიციური პორტფელის ცალკეული ინსტრუმენტების, ისე მთელი ამ პორტფელის შემოსავლიანობის, რისკისა და ლიკვიდობის დონეების ტენდენციებს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებებს პორტფელის რესტრუქტურიზაციის აუცილებლობისა და მისი მიმართულებების შესახებ.

საინვესტიციო რესურსები ფინანსური და რეალური ინვესტიციების განხორციელების დროს გამოყენებულ როგორც ფულადი, ისე ნატურალური ფორმით. საწარმოთა ინვესტიციური რესურსების ფორმირება უკავშირდება როგორც თვითონ საწარმოების, ისე მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე დაგროვებისა და დაზოგვის პროცესებს. ინვესტიციური კაპიტალის დაზოგვისა და დაგროვების ტემპებსა და მასშტაბებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე და მოსახლეობის შემოსავლების დონე განაპირობებების შესახებ.

საწარმოში საინვესტიციო რესურსების ფორმირების პროცესი განუწყვეტლად მიმდინარეობს მის მიერ ძირითადი საქმიანობიდან და არასარეალიზაციო დონისძიებებიდან მიღებული შემოსავლებების, აგრეთვე, სესხების აღების და სხვა სახით. იმ სახსრების კონკრეტულ რეანიმირებებს, რომლებიც ან ინვესტირებას ხმარდება, ან სამოხმარებლო საჭიროებებს, საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გეგმებით განსაზღვრავენ. ეს დიდადად დამოკიდებული მათი მოზიდვის ღირებულებაზე, საწარმოს კაპიტალის სიდიდესა და მის სტრუქტურაზე. თუკი საწარმოს სახსრების წყაროს სტრუქტურაში დიდი ხვედრითი წილი ეკუთვნის ნაესხებ სახსრებს, მაშინ სესხების კიდევ აღების შესაძლებლობები შეზღუდულია. ამავე დროს, მატულობს დამატებითი რესურსების მოზიდვის დირექტორებაც საკ-

რედიტო რისკის გადიდების გამო.

ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების დაგეგმვისა და ანალიზის სისტემაში დიდი მნიშვნელობა აქვს ინვესტიციების იმ მრავალფეროვანი ჯგუფის გამოყოფას, რომლებიც სპეციფიკით გამოიჩინან და მართვის აღეპვატური მეთოდების გამოყენებას მოითხოვენ. გამოყოფენ რამდენიმე ნიშანთვისებას, რომელთა მიხედვითაც საინვესტიციო რესურსების კლასიფიცირებას ახდენენ.

პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირების შესახებ. ინვესტიციების სფერო – ეკონომიკური სისტემის კვლავწარმოებისა და განვითარების საფუძველია. ინვესტიციების სფერო ეკონომიკურ ურთიერთობათა ის არეალია, სადაც როგორც წესი, მიმდინარეობს ამა თუ იმ ინოვაციის მატარებელი მეურნე სუბიექტების სტრატეგიების რეალიზება. ამ სტრატეგიების რეალიზების მთავარ ფორმად გვევლინება ინვესტიციები, რომლებიც ინვესტიციების პროცესში ტრანსფორმირდება და, მაშასადამე, იდეა (ჩანაფიქრი) რეალურად ისხამს ხორცს.

კაპიტალისტური ურთიერთობების ევოლუციის პროცესში ფულადი კაპიტალის დაგროვებასთან ერთად ვითარდება საინვესტიციო საქმიანობა, რომელიც კაპიტალების ბაზარზე ფინანსური საქმიანობის ნაწილი ხდება. ამავდროულად ფინანსური მომსახურეობის გაწევის ხაზით ადგილი აქვს საქმიანობის სამართლებრივი ფორმების დივერსიფიკაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ კი არ ქრება კაპიტალის ინვესტირების ადრე არსებული ფორმები, პირიქით, ინვესტირების როგორც ჭველი, ასევე ახალი ფორმები და ხერხები პარალელურად ვითარდებიან, ზოგჯერ კვეთენ ერთმანეთს ანდა გადაიხლართებიან ერთმანეთში. ასე მაგალითად, საწარმოს აქციების შესყიდვა (რომელიც ყალიბდება როგორც პორტფელური ინვესტიციების ფორმა), ხშირად გამოიყენება პირდაპირი ინვესტირებისათვის და ეს მიიღწევა აქციების საკონტროლო პაკეტის გამოსყიდვით, რაც ხორციელდება საწარმოთა შერწყმით და შეერთების გზით.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოვლინდეს ცნების: “ინვესტირება” ეკონომიკური არსი და საერთო ნიშნებით აღიწეროს იმ სამართლებრივი ფორმების განვითარება, რომელიც გახაპირობებენ კაპიტალის ინვესტირებას. ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ სამართლებრივი ფორმების განვითარება, რომლებიც განსაზღვრავს ინვესტირებას, ხორციელდებოდა დივერსიფიკაციის ფორმით. ეს ინვესტორს შესაძლებლობას აძლევდა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განესაზღვრა ინვესტირების ეფექტიანი საშუალება (ხერხი), ინვესტირებული კაპიტალის შესაძლო დანაკარგის ალბათობის მხედველობაში მიღებით (სამეწარმეო რისკი საწარმოს წარუმატებლობის

შემთხვევაში) და მისი კუთვნილი შემოსავლის (საწარმოს წარმატებული საქმიანობის შემთხვევაში) სიდიდე. ამასთან ერთად ყოველ შემთხვევაში ინვესტორი დგას დილემის წინაშე: როგორ ჩაერთოს წარმოების პროცესში: პირადი მონაწილეობით კაპიტალთან ერთად თუ მხოლოდ კაპიტალით. მეწარმის უშულო მონაწილეობა სამეწარმეო საქმიანობაში უზრუნველყოფს მის მიერ კონტროლის მაქსიმალურ ხარისხს სამეწარმეო რისკზე: სწორედ ინვესტორი (უშუალოდ თვითონ ანდა მისი უფლებით აღჭურვილი პირი) ღებულობას გადაწყვეტილებას ანდა ზემოქმედებს გადაწყვეტილების მიღებაზე საწარმოს (ბიზნესის) განვითარების შესახებ და შესაბამისად ღებულობს შემოსავალს ან განიცდის ზარალის მიღებული გადაწყვეტილების სისტორის, შემუშავებული პროგნოზის დასაბუთებულობის ღონის შესაბამისად.

ეშირ შემთხვევაში მეწარმეს არ სურს უშუალო მონაწილეობა მიიღოს საწარმოო საქმიანობაში და იყარგლება მხოლოდ თავისუფალი კაპიტალის მიწოდებით. ინვესტორი, რომელიც წარმოების პროცესში მონაწილეობს მხოლოდ კაპიტალის მიწოდებით, პრინციპში დაინტერესებული არ არის წარმოების წარმატებით თუ წარუმატებლობით. ასეთი ინვესტორი დაინტერესებული ინვესტირებული კაპიტალიდან მიღებული შემოსავლით, ანუ იმ დივიდენდის ფორმით, რომელსაც მას, როგორც აქციონერს, უხდიან. ან და ეს არის დადებითი სხვაობა მის მიერ თავდაპირებული შეძენილი აქციების ფასსა და მათი მეორადი გაყიდვის ფასს შორის [13. გვ. 49].

ასეთ ინვესტორს ნაკლებად აინტერესებს იმ საწარმოს ბედი, რომლის აქციებიც მან შეიძინონა. უფრო სწორად ამ საწარმოს ბედი მას აწებებს მხოლოდ გადახდილი დივიდენდების თვალსაზრისით [17. გვ. 152]. ერთის მხრივ, აქციონერული კომპანიის დამფუძნებელი აყალიბებს საწარმოს არა მარტო თავისეთვის და არა იმდენად თავისეთვის, რამდენადაც განუსაზღვრელი მასისათვის, რომელთა მოზიდვასაც იგი აპირებს საწარმოში წარმოების პროცესში მონაწილეობის მისაღებად. მომავალ მონაწილეთა ინტერესი ორიენტირებულია საწარმოსაგან რაც შეიძლება მეტი მოგების მიღებაზე, რასაც დამფუძნებლისათვის, როგორც ასეთისათვის, აქვს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა. მეორეს მხრივ, ინვესტიციების რეციფიენტი აქციების განთავსების და ძებული ინვესტიციების მიღების, აქციების პირველადი განთავსების შემდეგ კარგავს ინტერესს აქციების შემდგომი ბედისადმი, რომლებიც მიმოიცევიან ბაზარზე. აქციების კურსი მას აინტერესებს მომდევნო ემისიის დროს განთავსების წარმატების პერსპექტივების თვალსაზრისით.

ამ სიტუაციაში როგორც ინვესტორის (რომლის მიზანია მაქსიმალურ შემოსავლის მიღება), ასევე საწარმოსა და მეწარმის, როგორც ინვესტიციების რეციფიენტის (რომელთა მიზა-

ნია წარმატებული სამეურნეო საქმიანობა) ინტერესთა დაკმაყოფილებით ყველაზე მეტად დაინტერესებულია მთელი საზოგადოება და სახელმწიფო, როგორც ერთიანი ინტერესების გამომხატველი. გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანა იმაში მდგომარებს, რომ მოიზიდოს მოსახლეობაში გაფანტებული კაპიტალი საწარმოო მიზნების სამსახურში. არსებითად ასეთი ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია ერთის მხრივ, აქციონერთა შორის ინტერესების წინააღმდეგობათა აღმოსაფხვრელად და მეორეს მხრივ კაპიტალების მწარმოებლების – კაპიტალის რეციფიციენტების ინტერესების დასაცავად.

ასე რომ, როგორც პირდაპირი, ასევე პორტფელური ინვესტიციების ეკონომიკური შინაარსი, არსებითად ერთიანია. როგორც ერთი, ისე მეორე წამოადგენს კაპიტალის, როგორც თვითმხარდი ლირებულების მოძრაობას. და მაიც, ერთი განსხვავდება მეორისაგან ინდივიდუალური მიზნებით და ინტერესებით, პროცეში მონაწილეობა ურთიერთობებით. შესაბამისად, სახელმწიფოს ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ როგორც პირველი, ასევე მეორე შემთხვევაში საზოგადოებამ მთლიანად მიიღოს მაქსიმალური უკუგება ამ ურთიერთობის ყოველი მონაწილის მოქმედებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პირველი ასევე მეორე შემთხვევაში სახელმწიფოს მოქმედების მეთოდები განსხვავებული იქნება.

პირველ შემთხვევაში ინვესტორის წარმატება ბევრადაა დამოკიდებული თვითონ მასზე, საწარმოოს განვითარების პროგნოზის დასაბუთებულობის წარმატებაზე, მათ ძალისხმევაზე, მიღებული გადაწყვეტილებების სისწორეზე. არანაკლები მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონმდებლობის სისწორეს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ინვესტორის საწარმოს (ბიზნესის) ორგანიზაციასთან და მართვასთან, დაკავშირებული მინიმალური დანახარჯები, ასევე საწარმოს (ბიზნესის) განვითარების პროგნოზიების წინასწარ განკვრებისა და გონიერი დასაბუთების შესაძლებლობას. მეორეს მხრივ, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ის, რომ კაპიტალის ინვესტირებამ არ გამოიწვიოს საზოგადოებრიც ინტერესთა ბალანსის დარღვევა. კონკურენტის განადგურების ერთ-ერთი გზა არის კონკურენტის საწარმოს (ბიზნესის) შესყიდვა. ეკონომიკის მონოპოლიზაციაში შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებრიც ინტერესთა უზრუნველყოფა. (მაგალითად მონოპოლიურად მაღალი მოგების დაწესების გზით).

ახორციელებს რა პირდაპირი ინვესტიციების რეალირებას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შემდეგი ამოცანების შესრულება:

- ხელსაყრელი პირობების შექმნა საერთოდ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის. (ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელია სამეწარმეო საქმიანობის შექმნას სწორი კანონმდებლობის მიღებით, დადგენილი ნორმების ზედმიწვნით დაც-

ვითა და უზრუნველყოფით, თავად გადაწყვეტის სამართლიანი და წინასწარგანკვრებილი სისტემების შექმნით);

- კონკურენციის დაცვის უზრუნველყოფა, სამეწარმეო საქმიანობის წარმართვისათვის, ასევე სხვა მეწარმეთთათვის სამართლიანი პირობების შექმნა.

იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო წარმატებით ასრულებს ამ ამოცანებს, მისი არსებობა ბაზარზე, როგორც წესი, შეუმნიველებელია, ყველ შემთხვევაში, ეროვნული (ადგილობრივი) ინვესტორებისათვის მაინც. უცხოელი ინვესტორებისათვის, რომლებიც ინვესტირებას ახდენენ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, არსებობს იმის აღბათობა, რომ მის მიმართ გამოყენებული იქნება მტრული, არამეგობრული ქმედებები. ეს უკანასკნელი მის მიმართ ხორციელდება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უცხოელი პირია (ფიზიკური ანდა იურიდიული). საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება და საერთაშორისო სამართლის ხორმების, საერთო პრინციპების განვითარება თანამედროვე პირობებში საბოლოო ჯამში არ დაუშვებს იმას, რომ ადგილი პქონდეს უცხოელი ინვესტორთა დისკრიმინაციას. სახელმწიფოს მიერ ეროვნულ ბაზარზე კონკურენტული ბრძოლისათვის სამართლიანი პირობების უზრუნველყოფა, არსებითად თანაბარი ზომით ეხება როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ინვესტორების ინტერესებს. ამრიგად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მარეგლამენტირებელი სპეციალური სამართლებრივი ნორმების საერთაშორისო შეთანხმებების, ხელშეკრულებების, დაცვის უზრუნველყოფა აუცილებელია.

პირდაპირი ინვესტიციებისაგან განსხვავდებით, სადაც სიტუაცია კონტროლდება თვითონ ინვესტორის მიერ, პირტფელური ინვესტირების განხორციელება მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევას. სამართლებრივი რეგულირების ამოცანა ამ შემთხვევაში მდგომარეობს ისეთი გარემოს ფორმირებაში, რომელშიც ინვესტორს შესაძლებლობა ექნება ობიექტურად შეაფასოს ინვესტირების პერსპექტივა ამა თუ იმ საწარმოში, აუცილებლობის შემთხვევაში მიიღოს კვალიფიციური დახმარება დამოუკიდებელი და აქედან გამომდინარე დაინტერესებელი უქსპერტისაგან. და ბოლოს, პირტფელური ინვესტორი მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლებრივი დაცვით აღნიშვნული ამოცანების გადაწყვეტა მიიღწევა შემდეგი გზებით:

- სახელმწიფოს მიერ სპეციალური ორგანოს ფორმირებით, რომელიც უფლებამოსილი იქნება გააკონტროლოს ფასიანი ქადალდების ემისიის განხორციელება, ამავე დროს დაიცვას კანონმდებლობის მოთხოვნები;
- მოცემულ საწარმოში საქმის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოწოდებასთან დაგაგშირებით ემიტებებისადმი მოთხოვ-

ნების წაყენება;

- პროფესიონალი მონაწილეებისათვის, რომლებიც კონსულტირებას უწევენ ან სხვა პროცესითნალურ მომსახურებას სთავაზობენ ინვესტორებს (ფასიან ქაღალდებში ინვესტირების განხორციელებისას), სპეციალური მოთხოვნების წაყენება და მათ საქმიანობაზე კონტროლი.

პორტფელური ინვეტიციების განხორციელებისას უცხოელი პორტფელური ინვესტორი ექვემდებარება იგივე რისკს, რასაც ადგილობრივი, ასე რომ არავითარი სპეციალური რეჟიმის და სპეციალური რეგულირების მექანიზმის მოთხოვნა უცხოელ პორტფელურ ინვეტორებთან მიმართებაში საჭირო არ არის. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო, რომელთა ფიზიკური და იურიდიული პირები გამოდიან სხვა ქვეყნებში პორტფელური ინვეტორების როლში, გავლენას ახდენს იმ სახელმწიფოს საქმიანობაზე, სადაც იმყოფებიან პორტფელური ინვესტიციების რეციპიენტები, ითხოვენ რა სახელმწიფოს მიერ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ადგევაზური კონტროლის უზრუნველყოფას. ამასთან ერთად, იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო, რომელიც ახდენს ინვესტიციების რეციპიენტებას და ვერ ახორციელებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის კონტროლს, პორტფელურ ინვესტორებს არ ურჩევს აქ ინვესტირებას. ამიტომაც ქვეყნები იძულებული არიან თრიენტირებული იყვნენ სტანდარტულ მოთხოვნებზე პორტფელური ინვესტიციებს რეალირების განხორციელებასთან მიმართებაში.

ასე რომ, პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების ურთიერთგამიჯვნის პრინციპების განსაზღვრისას, უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი მოსაზრებებით:

ჯერ ერთო, იმ სახელმწიფოს ინტერესებით და პოლიტიკით, რომელიც იზიდავს პირდაპირი ინვესტიციებს არც თუ ისე მომზიდველ სფეროში (მაგ. დიდი დანახარჯები და ინვესტიციების გამოსყიდვის დიდი ვადა, შემოსავლის დაბალი დონე, წარუმატებლობის დიდი რისკი (გეოლოგიაში საძიებო სამუშაოები)) გათვალისწინებული უნდა იქნას ინვესტორებისათვის დამატებითი გარანტიები (მაგ. იმის გარანტია, რომ ინვესტორის საწარმო არ იქნება დიკვიდირებული მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული რენტაბელობის განსაზღვრული დონე), ანდა ინვესტორის დანაკარგების ნაწილობრივი კომპენსაცია იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ობიექტური მიზეზის გამო არ იძლევა მოსალოდნელ შედეგს (მაგ. დაძიებული სასარგებლო წიაღისეულის საბაზო გამოდგაუვარგისი სამრეწველო ექსპლოატაციისათვის).

მეორეც, თვითონ ინვესტორის ინტერესი განხილული უნდა იქნას პირდაპირი ინვესტიციის თვალსაზრისით. სხვა სიტყვებით თვითონ უნდა განაცხადოს თავისი განზრახვის შესახებ არა მარტო კაპიტალის საწარმოში დაბანდების, არამედ წარმოების პროცესში მისი მონაწილეო-

ბის, გამოცდილების გაზიარების, ტექნოლოგიის, პირადი მონაწილეობის სხვა ფორმების გამოყენების თვალსაზრისით.

სახელწიფო კანონმდებლობამ შეიძლება დაადგინოს ფორმალური კრიტერიუმები, ნიშნები, რომელთა მიხედვით მოხდება ინვესტიციების კვალიფიცირება პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციებად. ასეთი ფორმალური კრიტერიუმების რიცხვს მიეკუთვნება ინვესტიციების სიდიდე, ინვესტორის წილობრივი მონაწილეობის სიდიდე, ინვესტიციების განსაზღვრული სამართლებრივი ფორმა. ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საბოლოო ჯამში ამგვარად ჩამოყალიბებული ფორმალური კრიტერიუმები არის ე.წ. “კონტროლის თეორიის” გამოვლინება. ამ კონცეფციის შესაბამისად პირდაპირი ინვესტორი ინარჩუნებს შესაძლებლობას გააკონტროლოს მის მიერ ინვესტირებული სახსრები და მონაწილეობა მიიღოს საწარმოს სამეურნეო საქმიანობაში, კაპიტალის “სამრეწველო ექსპლოატაციის” გაგებით.

ინვესტიციების კატეგორიის გაგების (პოსტკომუნისტური) თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ე.წ. მეურნეობრიობის სოციალისტური საგეგმო სისტემის წიაღიდან იღებს სათავეს. გეგმიანი ეკონომიკის განმასხვავებელი თავისებურება იყო ის, რომ ფულადი სახსრები განიხილებოდა მის ჩარჩოებში დირებულების საზომის პირობითი ერთეულის სახით (როგორც დახარჯული შრომის გამოხატულება). ე.წ. “სოციალიზმის” პირობებში ფულად სახსრებს არ შეეძლოთ ფულად კაპიტალად გადაქცევა და იგი არასოდეს განიხილებოდა კაპიტალად, როგორც თვითმხარდ დირებულებად, თუნდაც იმიტომ, რომ კაპიტალი განიხილებოდა როგორც სამუშაო ძალის ექსპლოატაციის, როგორც ზედმეტი პროდუქციის მითვისების იარაღი. ასე რომ, ყოფილი სსრკ-ს კანონმდებლობა არ შეიცავს სამართლებრივ ნორმებს, რომელიც ფულადი კაპიტალის მოძრაობის, ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ ფორმებს შეეხება.

ამავე დროს ნებისმიერი წარმოების განვითარება ნებისმიერ დროს, მოითხოვს რესურსების (მატერიალურის და შრომითის) მოძილიზაციას. “ინკებს და ფარაონებს შეეძლოთ განეხორციელებინათ უზარმაზარი საზოგადებრივი სამუშაოები (ცხადია, განსაზღვრული, აუცილებლობის თავისებური შეხედულებებიდან გამომდინარე) ფულის გარეშე. ოღონდ პოლიტიკური სისტემები, სადაც ძალაუფლება უფრო ძლიერი ანდა უფრო შეზღუდული იყო, ვერ ახერხებდნენ ინვესტირებას (და მით უმეტეს კეთილდღეობის გაზრდას, გადიდებას), მანამ, სანამ მათ არ განავითარეს ფულადი სისტემები. ასე, რომ “ფული ხდება ძალაუფლების შემცვლელი საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას და გარდაიქმნება საქმიანობის კოლექტიური წარმოების ინსტრუმენტად“ [14. გვ., 94].

ფულისა და ფულადი კაპიტალის აღიარებაზე

უარის თქმა, მათ შორის იდეოლოგიური მიზე-ზებითაც, რომელსაც ადგილი ჰქონდა ყოფილ სსრკ-ში, არ ნიშნავდა რესურსების მობილიზა-ციის ხერხის პრობლემების გადაჭრას წარმოე-ბის განვითარების გაფართოვების ამოცანის გა-დაწყვეტისათვის .

პირველ რიგში არ შეიძლება არ ა-ლინიშნოს ის, რომ ფულის როლის უარყოფა და მით უმეტეს ფულადი კაპიტალის როლის მიჩ-ქმალვა წარმოების განვითარებაში სულაც არ ნიშნავს ფულზე, როგორც ასეთზე, უარის თქმას. ფული არსებობდა სოციალიზმის დროს (განა-წილების საბარათო სისტემის დროსაც კი). არ-სებითად, განსხვავება კაპიტალისტურ ანუ სა-ბაზრო ეკონომიკისა და სოციალისტურ ანუ გეგმიან (მეურნეობას) ეკონომიკას შორის იმაში მდგომარეობს, რომ პირველ შემთხვევაში დაკ-რედიტების უზრუნველყოფის უფლებამოსილება გადანაწილებულია სახელმწიფოსა და კერძო ბანკების შორის; მაშინ, როცა მეორე შემთხვევა-ში სახელმწიფო დაკრედიტების თვალსაზრისით თავის უფლებამოსილებას უბრალოდ გადასცემს სახელმწიფო ბანკებს. ეს უკანასკნელი ამას ახორციელებენ ისე, რომ ხელმძღვანელობდნენ არა ბაზრის მოთხოვნილებებით, არამედ სახელ-მწიფო საგეგმო ორგანოების მითითებებით“ [14. გვ., 90].

წარმოების (ძირითადი ფონდების) გან-ვითარებისათვის მატერიალური რესურსების მო-ზიდვის და მობილიზაციის ამოცანების გადაწყ-ვების სამართლებრივ ფორმებად კაპიტალურ მშენებლობაში გამოიყენებოდა საიჯარო ხელ-შეკრულებები.

კაპიტალურ მშენებლობაში საიჯარო ხელშეკრუ-ლება იმ პირობებში განისაზღვრებოდა როგორც “გეგმიანი ხელშეკრულება, რომელიც იდებოდა სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის, რომლის ძალითაც ერთი მხარე, დაკვეთი, ვალდებულებას იდებდა აქშენებინა და დადგენილ ვადაში ჩაება-რებინა გეგმით გათვალისწინებული ობიექტი, ხო-ლო მეორე მხარე, შემსრულებელი კისრულობდა ვალდებულებას განეხორციელებინა დაბანდებე-ბი მის მიერ ორგანიზებულ მშენებლობაზე, მიე-დო და აენაზღაურებინა შესრულებული სამშე-ნებლო სამუშაოები [16. გვ., 435].

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ განხილული ხელშეკრულების მოცემულ გან-საზღვრებაში მატერიალური რესურსების მობი-ლიზაციის პრობლემა მიჩქმალულია “საგეგმო ხელშეკრულების” ფორმულირებაში. მოყვანილ განმარტებაში, ძირითადი აქცენტი გადატანილია არა რესურსების გამოყენების პროცესზე, არამედ შედეგზე – ობიექტის აშენებაზე. ასე, რომ რეგუ-ლირების გარეშე რჩება საკითხები, რომელთაც პრინციპული მნიშვნელობა აქვთ იმ შემთხვევა-ში, როცა განისაზღვრება თვითონ ფულადი კა-პიტალის მოძრაობა (ინვესტიციება). საუბარია საინვესტიციო სახსრების ზრდაზე და შემოსავ-ლის, როგორც ინვესტირების მიზნის, მიღებაზე.

პირიქით, ამგვარი რეგულირების დროს საიჯარო ურთიერთობების ობიექტის ცენტრა-ლური საკითხი: “საიჯარო ურთიერთობების მა-ტერიალური ობიექტი კაპიტალური მშენებლო-ბის მიხედვით არის გეგმის მიხედვით საწარმოს, საცხოვრებელი სახლის და ა.შ. აშენება. მაგრამ ასეთი სახის სამართლურთობებში განსა-კუთრებულ მნიშვნელობას იძენს იურიდიული ობიექტი – მოიჯარის საქმიანობა, რომელზედაც მართლაც დამოკიდებულია დამკვეთი. იურიდიუ-ლი ობიექტის მნიშვნელობა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ მოწყობილობა უნდა იყოს საიჯარო ორგანიზაციის საქმიანობის შედეგი, არამედ იმაშიც, რომ ეს საქმიანობა იმყოფება დამკვეთის უშეალო კონტროლის ქვეშ, ხოლო მის განსხვარციელებასთან დაკავშირებით კონ-ტრაგენტებს შორის ყალიბდება ხანგრძლივი ურთიერთობა“ [16. გვ., 450]. რაც შეეხება კაპიტა-ლურ მშენებლობაში საიჯარო ხელშეკრულების ფინანსურ ასპექტს, “კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების ძირითადი წყარო არის უკანას-უბრუნებელი საბიუჯეტო სახსრები“ [16. გვ., 451] და საკითხი ინვესტირების შემოსავლიანობისა და თვალი ფულადი კაპიტალის, როგორც თვით-მხარდი ღირებულების შესახებ არც კი ისმის. სხვა სიტყვებით, ყველაფერი, რაც დაკავშირე-ბული იყო კაპიტალდაბანდებებთან, მის სამარ-თლებრივ ფენომენთან, რომლებიც აწესრიგებდა კაპიტალის მოძრაობას, იჩქმდებოდა და შეცვლი-ლი იყო ფინანსური რესურსების გეგმიანი გა-ნაწილებით. ამასთან ერთად, ფულად სახსრებს, რომელიც იმყოფებოდა კაპიტალურ დაბანდება-თა დაფინანსების ანგარიშზე და განიკარგებო-და დამკვეთის მიერ, ჰქონდა მკაცრი მიზნობრივი დანიშნულება და შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო მხოლოდ კაპიტალური მშენებლობის საჭიროებისათვის, დადგენილი გეგმის შესაბამი-სად“.

ის გარემოება, რომ საკვლევი სამარ-თლებრივი ფორმის ფარგლებში შეგნებულად ან და მის გარეშე ხდება ობიექტურად არსებული მოვლენის ეკონომიკური არსის იგნორირება, რო-მელიც კაპიტალური მშენებლობის სამართლებ-რივ ფორმას იძენს, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა მოცემული კონსტრუქციის გამოყენე-ბის ეფექტიანობაზე. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ეკონომიკის დაბალი ეფექტია-ნობა, წარმოების დანახარჯების მაღალი დონე, დღემდე განიხილება ეკონომიკური რეფორმების გატარების მიზეზად.

გარდამავალ ეკონომიკაში ახალი მიღ-გომების განვითარებსთან ერთად პოსტკომუ-ნისტური სივრცის კანონმდებლობა ჯერ კიდევ არ არის განთავსიუფლებული “პერესტროიკამ-დელი“ რეგულირების სტერეოტიპებისაგან სა-მართლებრივი ფორმების თავლსაზრისით. იგი ცდილობს ცნობილი ცნებები მოარგოს ახალ რეალობებს. მეორეს მხრივ, იმყოფებოდა რა კა-პიტალისტური ეკონომიკის დიდი ეფექტიანობის

იდეის ტყვეობის ქვეშ, საზოგადოება შეგნებულიდ ან შეუგნებლად თვალს ხუჭავდა ფულადი კაპიტალის ეფექტიანობის შეფასებაზე. “ლაპარაკია არა მარტო იმაზე, რომ საბაზო ფინანსური სტრუქტურა უფრო არასტაბილურია; იგი აუცილებლად ზრდის არათანაბრობას, თუნდაც იმიტომ რომ იგი დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს ფინანსურ ორგანიზაციებს, მათ მმართველებს და მოსამსახურებს ძალიან მოკლე დროში “იშოვონ“ მეტი რაოდენობით ფული, იგი სულ უფრო მეტად ზრდის უფსკრულს მდიდრებსა და დარიბებს შორის. საზოგადოება მტრულად ეკიდება ბანკირებს და ფინანსისტებს არა მათი სიმდიდრის გამო, არამდ იმიტომ, რომ მათი სიმდიდრე არ არის დაკავშირებული წარმოებასთან, მათ ფული ფულისაგან შექმნეს“ [14. გვ., 463].

მცდარი იღუზიების გავლენის ქვეშ მყოფი, პოსტკომუნისტური სივრცის კანონმდებელი (რომლის მიზანია რადაც არ უნდა დაუჯდეს აუცილებლად მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები), ცდილობს შეიმუშაოს ისეთი კანონები, რომლებიც, პირველ რიგში, მიმზიდველი იქნება ინვესტორებისათვის, ამასთან თავდაპირველად, პირველ ეტაპზე საუბარი იყო უცხოელ ინვესტორებზე, ვინაიდან იგი თავის ქვეყანაში ფულადი სახსრების მფლობელ მოქალაქებში ვერ ხედავდა და არც უნდოდა დაენახას პოტენციური ფულადი კაპიტალისტები. ამ სტერეოტიპებმა და იღუზიებმა არსებითი გავლენა მოახდინეს ე. წ. “პირველი ტალღის“ კანონმდებლობაზე ინვესტიციების შესახებ.

პოსტკომუნისტური სივრცის კანონმდებლობა ინვესტიციებს განსაზღვრავს, როგორც ფულად სახსრებს, მიზნობრივ საბანკო ანაბრებს, პას, აქციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებს, ტექნილოგიებს, მანქანებსა და მოწყობილობებს, ლიცენზიებს, მათ შორის სასაქონლო ნიშნებს, კრედიტებს, ნებისმიერ სხვა ქონებასა და ქონებრივ უფლებას, ინტელექტუალურ ფასეულებობებს, რომელიც განთავსებულია სამეწარმეო ანდა სხვა სახის საქმიანობაში, მოგების (შემოსავლის) მიღების მიზნით და დადგებითი სოციალური ეფექტის მისაღებად.

მოტანილი განმარტება პრინციპში ასახავს რეგულირებადი ურთიერთობების არს, რომელიც წარმოადგენს კაპიტალის, როგორც თვითმმარდი დირებულების მოძრაობას (თუ მხედველობაში არ მივიღებთ დამატებით მიზანს – “დამატებითი სოციალური ეფექტის მიღწევას“. ოდორდ შემდგომში კანონი ექვემდებარება კაპიტალურ მშენებლობაზე საიჯარო ხელშეკრულების რეგულირების ლოგიკას, იყენებს რა ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა დამკვეთო, საინვესტიციო საქმიანობის ობიექტი, საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსება, სახელმწიფო შეკვეთა და ა. შ.).

90-იან წლებში მიღებულმა საკანონმდებლო აქტებმა ბევრად განსაზღვრეს კანონმდებლობის წინააღმდეგობრივი სახითი უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში. ძირითადი

წინააღმდეგობა კანონში უცხოური ინვეტიციების შესახებ, არის შეუსაბამობა კანონში აღრე გაცხადებული რეგულირების საგანთან მიმართებაში [12. გვ., 89]. უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონის, მეორე მუხლში უცხოური ინვესტიციები განისაზღვრება როგორც ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობების ყველა სახეობა, რომელსაც უცხოელი ინვესტორები განვითარების (შემოსავლის) მისაღებად. აღნიშვნული კანონის მე-3 მუხლი აკონკრეტებს ინვესტიციების განხორციელების ხერხებს. ე. ი. არსებითად, ხსნის, რასაც ნიშნავს სიტყვა “დაბანდება“ სამართლებრივი თვალსაზრისით [12. გვ., 127].

“ინვესტორების“ კატეგორიის ასეთი ერთობ გავრცელებული აღწერის მთავარი ნაკლია ის, რომ კანონმდებლობისაგან სრულიად უყურადღებოდა დარჩენილი ამ რეგულირებადი მოვლენის ეკონომიკური არსი. ამის გამო მოცემული ტერმინის განსაზღვრების ნაკლი სავსებით ნათელია.

კანონმდებლობას მხედველობიდან გამორჩა ინვესტირების ეკონომიკური არსი, კაპიტალის როგორც თვითმმარდი დირებულების მოძრაობის ეკონომიკური ფორმა.

უცხოელის მიერ ქონების ამგვარად შექნა დარჩება ქონების უბრალო შეძენად. არსებითად ეს არის ფულადი სახსრების უბრალო ხარჯვა, სამომხმარებლო დირებულებაზე გაცვლა. ინვესტორი ინვესტორად გადაიქცევა მხოლოდ მაშინ, რაც იგი კაპიტალს განათავსებს როგორც შემოსავლის მიღების საშუალებად, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ “ზედმეტ ღირებულებად“. ამ სიტყაციაში უცხოელი ინვესტორისათვის აუცილებელი იყო გარკვეული გარანტიები იმ სახელმწიფოს მხრიდან, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდებოდა ეს ინვესტიციები. სწორედ ამიტომ იმ პერიოდში მიღებული კანონების “საინვესტიციო საქმიანობის შესახებ“ და “უცხოური ინვესტიციების შესახებ“ ნაკლოვანებებმა განაპირობებს ის გარემოება, რომ ამ სფეროში არ შეიქმნა ეფექტიანი რეგულირების მექანიზმი. როცა აღნიშვნული კანონმდებლობის არასურდებულება ცხადი გახდა, დღის წესრიგში დადგა როგორც მთლიანად საინვესტიციო საქმიანობის, ასევე უცხოელი ინვესტორებთან ურთიერთობის რეგულირების მექანიზმის გადახდვა და მათდამი მიღვომების შეცვლა [12. გვ., 116-124].

ზემოთ მოტანილი კანონის დებულებების ნაკლოვანებებთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია შედარებისათვის მოვიტანოთ კიდევ ერთი ციტატა კ. მარქსის კაპიტალიდან: “ფული, როგორც გარკვეული ღირებულების დამოუკიდებელი გამოხატულება, – იმისდა მიუხედავად, სინაზღვილეში იგი არსებობს ფულის თუ საქონლის სახით, შეიძლება კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე გარდაიქმნას კაპიტალად და ასეთი გარდაქმნის შედეგად ღირებულების მოცემული სიდიდიდან გადაიქცეს თვითმმარდ, უფრო გადა-

დებულ დირებულებად [18. გვ., 371-372]. რასაც ვერ ვიტყვით ჩვენს კანონებზე ინვესტიციების შესახებ. მათ განსაკუთრებული სახით დაარგეშულირეს უცხოური ინვესტიციების საკითხები.

უცხოული ინვესტორის სტატუსთან დაკავშირებული საკითხების რეგლამენტი-რების ნაცვლად, კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ ორიენტირებული იყო იმ საწარმოთა სამართლებრივ დებულებაზე, რომელთაც საქმე პქონდათ უცხოურ ინვესტიციებთან.

შედეგი: დღესაც დღის წესრიგში დგას ინვესტიციებისა და ინვესტირების შესახებ “მეორე ტალღის” კანონების მიღების გადაუდებელი აუცილებლობა.

ინვესტიციების და ინვესტირების უმნიშვნელოვანები პრობლემები ნებისმიერ საზოგადოებაში (ნებისმიერი სამეურნეო მექანიზმის და ინვესტიციური განვითარების ნებისმიერი მოდელის პირობებში) შემდეგია:

- ინვესტიციებისათვის გამოყენებული საზოგადოების რეალური, ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების ოპტიმალური წილის განსაზღვრა;
- რეალური, ფინანსური და ინტელექტუალური ინვესტიციური პროცესების მოძრაობაში შესაბამისობის და პროპორციულობის უზრუნველყოფა;

- ინვესტიციების მიმართვა მეურნეობის დარგების და ცალკეული ინვესტიციური პროექტების განსახორციელებლად;
- საზოგადოების ერთობლივი ინვესტიციური პროცესის ყველა რგოლს შორის პროპორციულობის დაცვა და მთლიანი ინვესტიციებისა და მათი ცალკეული სახეების ოპტიმალური სტრუქტურის მიღწევა;

- ინვესტიციების მაღალეფებიანობის უზრუნველყოფა მათი ბრუნვის დაჩქარების, დანახარჯების ფარდობითი შემცირების, რეალური, ფინანსური და ინტელექტუალური ეფექტიანობის კორესპონდირებისას სასარგებლო უკუგების ამაღლების გათვალისწინებით.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებიდან უკანასკნელი განსაკუთრებულ დაზუსტებას მოითხოვს. ინვესტიციების რეალურ, ფინანსურ და ინტელექტუალურ უფერტიანობას შორის სრული შესაბამისობის დადგენა (საუბარია რეალურ ინვესტიციებზე, რომლებიც იზომება ეფექტიანობის საგნის რეალური და ფინანსური ასპექტით) პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ სწრაფვა მათ შორის, უფრო სრული შესაბამისობის მიღწევა, რა თქმა უნდა, სასურველია. თუმცა ამგვარი სწრაფვა შესაძლებელია მხოლოდ გარეგულ ზღვრამდე. იგი დაკავშირებულია რეალური, ეკონომიკური პროცესების ფულადი ფორმებით გაზომვის სიზუსტესთან, მაგრამ არა საინვესტიციო ფინანსური რესურსების რენტაბელობის კრიტერიუმისადმი ყველა რეალური პროცესების დაჭვემდებარების დონემდე.

საინვესტიციო-საფინანსო რესურსების მაღალ

რენტაბელობასთან საქმე გვაქვს, როცა:

- ადგილი აქვს რეალური ინვესტირების შესაბამის მაღალეფების მიღწების რეალური საზოგადოებრივი სიმდიდრის ნამატების სახით რეალური ინვესტიციების შეფარდებითი ზრდის კვალდაკვალ რეალური საინვესტიციო რესურსების ხარჯების შეფარდებით შემცირებით;
- ამასთან, გაზრდილი საზოგადოებრივი სიმდიდრის ნაწილი ბაზარზე იყიდება უმაღლეს ფასად.

თუმცა, ყოველთვის არა საჭირო ეფექტიანი რეალური ინვესტიციების შედეგის უმაღლეს ფასად გაყიდვა. ხშირ შემთხვევაში, ინვესტიციების შედეგად შექმნილი სიკეთე მიზანშეწონილია მომხმარებელს უფასოდ ან შედავათიან ფასებში გადაეცეს. საუბარია საზოგადოების მთავარი მწარმეობელი, მომუშავე ძალის -მაღალხარისხის მომსახურება, აღზრდის, განათლების, კულტურის, სამედიცინო მომსახურების და ა. შ. დარგში. ინვესტიციები ადამიანურ კაბიტალში (ადამიანურ რესურსებში) ყველაზე ეფექტიანია რეალური ასპექტით. ვადიანობის ოვალსაზრისით მათი რეალური ეფექტიანობა გამოიხატება არა მხოლოდ და არა იმდენად მომსახურების პირდაპირი სარგებლიანობით განათლების, კულტურის, ჯანდაცვის სფეროებისთვის, არამედ შრომის ნაყოფიერების ზრდით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ეს კი, საბოლოოდ, ასახვას პკოვებს იმ დარგების ფინანსური ეფექტიანობის ზრდაზეც, სადაც განხორციელდა ინვესტიციური დანახარჯები (განათლება, კულტურა, ჯანდაცვა), ასევე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებზეც. მხედველობაში გვაქვს ის დარგები, რომლებიც ბაზარს აწვდიან უფრო მაღალი დონის და ხარისხის საქმედსა და მომსახურებას მომუშავე ძალის შენიშვნელოვნად გაზრდილი ხარისხის ხარჯზე შედარებით ნაკლები დანახარჯებით.

ანალოგიურ თანაფარდობას ადგილი აქვს გამოყენებით და დარგობრივ მეცნიერებასთან მიმართებაში. აშშ-ში, მაგალითად, აგრარული მეცნიერება ფინანსდება ბიუჯეტიდან. ამ სფეროში სამცნიერო კვლევები ფინანსური თვალსაზრისით ვერ ახდენებ პირდაპირ ამოგებას (დანახარჯების ანაზღაურებას), მაგრამ გაშუალებულად - სასოფლო-სამეურნეო წარმოებით ეფექტურობის ზრდის მეშვეობით - ასეთი საბიუჯეტო (არასაბაზრო) დაფინანსება მრავალჯერადად ახდენს დანახარჯების ამოგებას.

საკუთარი ენერგეტიკული და ნედლეულის რესურსებით მდიდარ ქვეყანაში გამართლებულია შიდა დაბალი ფასების შენარჩუნებას ენერგომატარებლებზე, ენერგიასა და ნედლეულზე. ამგვარი პოლიტიკის მიზანია სამამულო გადამუშავებელი დარგების განვითარების სტიმულირება. სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის, ასევე ნედლეულის მომპოვებელი დარგების ფინანსური რენტაბელობის შემცირება, მოცემულ შემთხვევაში, შენიშვნელოვნად იფარება გადამუშავებელ დარგებში წარმოების მოცულობის და მოგების გადიდებით. ეს ამაგდროულად აა-

მაღლებს ხალხის ცხოვრების დონესაც, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსაც (დასაბაქრი შემოსავლების მასის ზრდის ხარჯზე) და თვითგანვითარების საინვესტიციო პოტენციალს.

დასკვნა

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში დიდია ინვესტიციური პოლიტიკის როლი და მნიშვნელობა. მასზე დიდადაა დამოკიდებული ეროვნულ ეკონომიკაში არსებული ინვესტიციური პოტენციალის და მისი შესაბამისი რესურსების ეფექტიანი გამოყენება, რომელიც საბოლოო ჯამში განაპირობებს მყარი ეკონომიკური ზრდის მიღწევას, ინვესტიციური პოტენციალის აღდგენას, საწარმოო ძირითადი ფონდების გაფართოებულ კალაგვარმოებას; ეს კი მიიღწევა თანამედროვე ტიპის ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავებით.

ინვესტიციური პროცესების სახელმწიფო რეგულირება – ეს არის იმ ფორმებისა და მეთოდების ერთიანობა, რომელიც უზრუნველყოფს: კერძო და სახელმწიფო ინტერესების გაერთიანებას; მოხმარებას, დაგროვებას და ინვესტირებას შორის რაციონალური პროპრეციების ჩამოყალიბებას; ინვესტიციურ ბაზარზე პროგნოზირების, ინდიკატური რეგულირების და სახელმწიფო ზემოქმედების დონისძიებათა თანწყობას.

ინვესტიციური მდგრელი და ინვესტიციური პოლიტიკა შეიძლება განხილული იქნას მართვის შედარებით სხვადასხვა დონეზე – სახელმწიფო, რეგიონულ და საწარმოს დონეზე. ინვესტიციური პოლიტიკის ძირითადი მიზნები, რაც არაერთხელ იქნა აღნიშნული, არის ოპტიმალური პირობების შექმნა ინვესტიციური პოტენციალის აქტივიზაციისათვის. ეს მიზნებია: 1. ინვესტიციურად მიმზიდველი ობიექტის (ქვეყანა, რეგიონი, საწარმო) იმიჯის შექმნა. 2. ინვესტიციური მიმზიდველობის იმიჯის შექმნა. 3. პირდაპირი საბიუჯეტო ინვესტიციები. 4. საბაზო სისტემის ინვესტიციური რესურსები. 5. საწარმოს შიდა ინვესტიციური რესურსების მობილიზაცია. 6. ინვესტიციური პოლიტიკის ეკონომიკური შედეგები.

ეკონომიკის ინვესტიციური სფეროს სახელმწიფო რეგულირებამ უნდა უზრუნველყოს ინვესტიციური სფეროს მოწესრიგება და რთული შემადგენელი ელემენტების შესაბამისობა, ოპტიმიზაციის მიღწევა სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებასა და ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთობებულებებს სახელმწიფოსა და კაპიტალის წამყვან დამბანდებლებს შორის. 2. ინვესტიციების ბაზარზე ფასის მიერი პოლიტიკა შეთანხმებულია მეწარმეების შერიდან.

ინდიკატური რეგულირების პრინციპების არსი მდგომარეობს კერძო კაპიტალისა და სახელმწიფოს ინტერესების პარმონიზაციაში განვითარების შეთანხმებული ორიენტირებისა და ამოცანების შემუშავების გზით, ასევე მათი მიღწევის მექანიზმებში.

დღეისათვის ჩამოყალიბდა შემდგენ რეგულირებას.

ლური წინაპირობები ინვესტიციების ინდიკატური რეგულირების პრინციპების განხორციელებისათვის.

- ჯერ ერთი, მსხვილ სააქციო საზოგადოებების, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებისა და სხვა სტრუქტურების სახით ყალიბდება ეროვნული კორპორაციული კაპიტალი.
- მეორე, მსხვილი კაპიტალი დღეისათვის თავადა დაინტერესებული სახელმწიფოსთან აქტიური თანამშრომლობით.
- მესამე, მოსახლეობის დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვა და გამოყენება არის ინვესტირების ერთ-ერთი პოტენციური წყარო.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ორი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება.

1. აუცილებელია პრინციპულური ახალი სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების ძიება ინვესტიციების სფეროში, უნდა შეიქმნას ხელსაყრელი კლიმატი კაპიტალდაბანდებებისათვის, რომელიც საერთო ეკონომიკური სიტუაციის კადინალური ცვლილებების და დანაზოგების სტიმულირების ამოცანების ადეკვატური იქნება;
2. ინვესტიციური კრიზისიდან გამოსვლის რეალური ალტერნატივები არ არის ორიენტირებული დანაზოგების რესურსებზე, რომლებსაც ბაზრის სუბიექტები აკეთებენ. დღეისათვის ძალზე საჭიროა სახელმწიფოს შემვებით საბაზრო პრინციპების დაცვით ინვესტირების სფეროში წარიმართოს, თუნდაც, ძალზე მცირე დანაზოგები, შექმნილი კერძო მეწარმეობით სექტორში ეკონომიკის აღდგენის გადაუდებელი ამოცანების გადაჭრაზე.

ინვესტიციების ინდიკატური რეგულირების ძირითადი პრინციპების რეალიზაცია ემყარება შემდეგ ინსტრუმენტებს: 1. წარმმართველი როლი ეგისტრების ინვესტიციური ხელშეკრულებების დადებას, რომლებიც ითვალისწინებს ურთიერთობებულებებს სახელმწიფოსა და კაპიტალის წამყვან დამბანდებლებს შორის. 2. ინვესტიციების ბაზარზე ფასის მიერი პოლიტიკა შეთანხმებულია მეწარმეების შერიდან.

მეოთხე, მსარეთა ურთიერთდაინტერესების პირობების რეალიზაცია ინვესტიციური განვითარების სტრატეგიის შესრულებაში და ინვესტორებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ამისათვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს:

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვორიასა და პრაქტიკაში ინვესტიციური პროცესის რამოდენიმე მოდელს განიხილავენ. თითოეული ხასიათდება განსაკუთრებული მიზნებითა და ამოცანებით. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და საგარეო ეკონომიკურ პირობებში ეს მოდელები საკმაოდ მოქნილია, მათ შეუძლიათ განვლონ განვითარების გზა ერთი ეტაპიდან მეორესაკენ და პირიქით. სრულყოფილია ინვესტიციური პროცესის ის მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის განვითარების დასახურის განვითარების სამართლებრივი მიზნების შესრულებას.

თარების პროგნოზირებას, ხელს უწყობს ეკონომიკის ეფექტურ ზრდას და საშუალებას იძლევა გარკვეულ ვადებში გადაიჭრას სახელმწიფოს წინაშე მდგარი კონკრეტული სოციალურ ეკონომიკური პოლიტიკური ამოცანები. განიხილება შემდეგი სახის მოდელები: 1. ინვესტიციური პროცესი სახელმწიფო პროტექციონიზმით დაცული ეკონომიკის სრული ლიბერალიზაციის პირობებში. 2. ინვესტიციური პროცესის მოდელი სრული დიპერალიზაციის პირობებში. 3. ინვესტიციური პროცესის მობილიზაციური მოდელი. 4. ინვესტიციური პროცესის გეგმურ-განმანაწილებელი მოდელი. 5. ინვესტიციური პროცესის მოდელი შერეულ ეკონომიკისათვის.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება გულისხმობს დარგებისა და საწარმო-

ების განვითარების სტრატეგიულ პროგნოზირებასა და დაგეგმვას. მათვის ყოველმხრივი საგადასახადო და საბაზო შედავათების გზით, აგრეთვე, ეკონომიკის რეალურ სექტორში საინვესტიციო პროცესის განხორციელებას.

საქუთრების ფორმების მიხედვით, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, სახელმწიფო მოწოდებულია მხარი დაუჭიროს მათ განვითარებას და შემოგვთავაზოს სხვადასხვაგვარი საგადასახდელო და სხვა შედავათები, ე. ი. გამოიყენონ დამატებითი ფინანსური უპირატესობები, გადაანაწილონ საერთო-სახელმწიფოებრივი ფინანსური რესურსები პრიორიტეტული დარგებისა და საწარმოების სასარგებლოდ.

ლიტერატურა/REFERENCES

1. **Fabozzi Frank J. CFA.** 1995. Investment Management. Prentice Hall International, Inc.p.3-4.
2. **Bodie Z., Marcus Alan J., Kane A.** 2008. Investments. Seventh Edition. McGraw -Hill Companies, Inc, p. 12.
3. **Qoqiauri L.** 2009. Teoretical Genesis of Investments. Popular-Science Edition. New York. pp. 52-67.
4. **Sharpe F. William, Alexander j. Gordon, Bailey V. Jeffery.** 1995. Prentice Hall International, Inc. A Simon and Schuster Company Eng lewood Cliff, New Jersey. pp. 10; 115, 145.
5. **Koltiniuk B.A. 2003.** Investments. SPB. Michaio Publisher. p. 649.
6. **Qoqiauri L.** 2012. Investment Management and Policy. Manual. Second Publication. Tbilisi. TSU. pp.110-115.
7. **Бланк И.А.** 2006. Основы инвестиционного менеджмента. К.: Эльга - Н. Ника-центр. pp. 86-96.
8. **Игонина Л.Л.** 2009. Инвестиции.. Экономист.. pp. 25-37.
9. Elton E.J. Gruber M.J. 1991. Modern Portfolio Theory and Investment Analysis. John Wiley and Sons, Inc. p. 123
10. **Sharpe W.F.** 1964. Capital Assets Prices: A Theory of Market Equilibrium Under Conditions of Risk. "Finance" Sept. pp. 425- 442.
11. **Qoqiauri L.** 2010. Investment Practice, Tbilisi. Technical University of Georgia. p. 1361.
12. **Qoqiauri L., Beriashvili L. 2009.** Investment Legislation Collected normative acts. Tbilisi. pp. 6-20, 116-124.
13. **Коминка А.Л.** 1917. Основы юрисдикции права. М.: p. 49.
14. **Strange S.** 1998. States and markets. London. pp. 90-94.
15. Политическая экономия. 1981. Словарь. М.: pp. 78-81.
16. **Иоффе О.С.** 1975. Обязательственное право. М.: pp. 435-463.
17. **Гильфердинг Р.** 1959. Финансовый капитал. М.: pp. 152.
18. **Markc. K.** Capital. 1970. 3. pp. 371-372, 431.